


ვიტორე
გოგოლაძევილი



„ქართული
ქართველი
ინჟინერა“

ახსნა და მხარული

2

პატივცემილი და ღირსი

გიორგი გოგოლაშვილი

ენა და მწერალი

2

საზოგადოებრივი და ფენ

„ქართული ქართველთ
რწმენა“

(ფიქრები მუსრან მაჭავარიანზე)

თბილისი 2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

„ენა და მწერალი“ ჩემი ფილოლოგიური
ცხოვრების თანამდევი თემაა... გადავწყვიტე,
წიგნაკების სახით წარმომედგინა მკითხვე-
ლისათვის ჩემი ნაფიქრი ჩემთვის ძვირფას
მწერლებზე...

დღეს მუხრან მაჭავარიანზე ვისაუბრებ...

რედაქტორი ციციხოველიანი

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაკიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი

გარეკანი ნინო ებრაღიძისა

© ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2019

ISBN 978-9941-13-813-3 (ყველა წიგნის)

ISBN 978-9941-13-815-7 (წიგნი 2)

მუხრან მაჭავარიანი და ქართული ენა

*„მრავალჭირვარამგადანახადი
უნატიფესი ქართული ენა...“*

არის სათქმელი, რომელიც აუცილებლად უნდა ითქვას; აუცილებლად უნდა დაიწეროს. ასეთია, ჩემი ღრმა რწმენით, თე-
მა **მუხრან მაჭავარიანი და ქართული ენა**. დღეს მე შევეცდები,
ამ თემაზე ვისაუბრო, ცხადია, უპრეტენზიოდ და მოკრძალებით.
ნიკო ლორთქიფანიძის თქმისა არ იყოს, „ნუ დამიწუნებთ!.. შემ-
დეგ ოდესმე მას აღმოუჩნდება მოციქული ვინმე მარკოზი ან იო-
ანე“... მე ვწერ ქართულ ენასა და მუხრან მაჭავარიანზე...

ისე კი, თავი რომ მოგვეყარა იმ ლექსებისათვის, იმ წე-
რილებისათვის, იმ ჩანაწერებისათვის, გამონათქვამებისათვის,
იმ ფრაზებისათვის, რომლებშიც მუხრან მაჭავარიანი დედაენას
უხდის ვალს, ერთ კრებულად შეგვეკრა, ეს წიგნი იქნებოდა
ამ თემის საუკეთესო შესრულება...

თქვა მუხრან მაჭავარიანმა: *„მესმის და ვხედავ, როგორ
იგერიებს პატარა ქართველი ორთავიანი არწივის კლანჭებს ია-
კობ ვოგებაშვილის „დედაენითა“! – თქვა და დასვა წერტილი.
შევმატებთ რაიმეს კომენტარით? არა, ბატონო, ეს უნდა ვის-
წავლოთ და ხშირ-ხშირად ვიმეოროთ... უნდა ვასწავლოთ ჩვენს
შვილებსა და შვილიშვილებს – ვისაც დედაენამ უნდა უხმლოს
და უაბჯროს!.. დედაენამ და „დედაენამაც“!.. ამით გადავარჩინო
ქართულ ენას!.. ამით გადავარჩინო საქართველოს!..*

* * *

რა არის ქართული ენა?

ილიამ ბრძანა, ღვთაებრივი საუნჯეაო: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული ენა და სარწმუნოებაო“...

იაკობმა ბრძანა, ქართული ენა ჩვენი ეროვნების უმთავრესი ბურჯიაო: ეროვნებას ოთხი ბურჯი აქვს – მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოებაო...

ქართული ენა ჩვენი ეროვნული მეობის საფუძველიაო, – ეს მეცნიერმა ბრძანა – არნოლდ ჩიქობავამ...

და მაინც, უფრო პოეტური, უფრო შთამბეჭდავი და ორიგინალური განმარტება, რაიც მუხრან მაჭავარიანმა ბრძანა, მე არ შეგულება:

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა! –
იმოდენაა!“

ყმაწვილთათვის უფრო დააკონკრეტებს:

„ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ენაა დედამიწაზე!“

ამ ენაში გამოხატულია ქართველი ხალხის ფერადი ხასიათი!

ეს ენა სარკვა ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებისა!“

* * *

გვმოდღვრავდა, გვაფხიზლებდა და გვაფრთხილებდა ჯერ კიდევ ამ ორმოციოდე წლის წინათ პოეტ:

„მრავალჯერ თუმცა ვაჟაკათა საფლავს
დედის ათოვდა თმანი;
სიტყვა ქართული
ესოდენ მძაფრად
არ სწყურებია დმანისს...“

ამას ამბობდა მუხრან მაჭავარიანი მაშინ, როცა „იდეენე-ბოდა სიტყვა“! დღეს? – „დღეს იდეენება ფიქრიცო!“ – იტყვის პოეტი და დაგვაფიქრებს იმ საბედისწერო ფიქრით, თუ როგორ გაუმძაფრდა ქართული სიტყვის წყურვილი ქვემო ქართლს... როგორ გადაედო ეს წყურვილი შიდა ქართლს...

„არაქართველი
ძირძველ ქართველს
იგდებს
აბუჩად“...

პოეტისათვის ეს საბედისწერო რეალობაა... ამიტომაც იტყვის:

„მე საქართველო
არ მსურს
ამგვარი!“

* * *

სხვასაც ალბათ, მაგრამ ჩემს თაობას განსაკუთრებული ვალი აქვს მუხრან მაჭავარიანისა: სამოციანი წლების დასაწყისში ქუთაისში დედაქალაქიდან ამაღად მოვიდა: თბილისის უნივერსიტეტში მუხრან მაჭავარიანს ისეთი ლექსები წაუკითხავსო... და ხელნაწერებითა და ზეპირად ვრცელდებოდა:

„თუ ფიქრობს ვინმე, –
დადუმდეს ენა! –
შენც არ მომიკვდე! –
არა და ვერა!
შოთა რომ არა!
ვაჟა რომ არა!
ტატო რომ არა! –
კიდე, – ხო, მარა...
ესენი როა?!
ახლა კი დროა!
სოლომონ რომა,
კვლავ დაიქუხოს საქართველომა!“

(ვიცი, მუხრან მაჭავარიანი ჯავრობს, როცა ცვლიან მის ლექსს: „იწერდნენ, ამახინჯებდნენ და ავრცელებდნენ“: – წერს იგი... მაპატიოს ბატონმა მუხრანმა, მაგრამ ეს ლექსი ამ სახით მოვიდა ჩემამდე 1964 წელს ქუთაისში, ასე ვისწავლე და ასე მანსოვს დღემდე... მაგრამ ერთიცაა (შევბედე კიდევ ერთხელ ამის თქმა ღიმილით..): ისეთ ლექსს როცა დაწერს პოეტი, გამოქვეყნებამდე მთელი საქართველო რომ ზეპირად ისწავლის, კი უნდა შეუნდოს მკითხველს მცირეოდენი ცვლილება ლამის ხალხურად ქცეული ლექსისა!..).

ამ ლექსმა უამრავი კითხვა გაგვიჩინა საბჭოთა მოწაფეებს:

– რას ნიშნავს „დადუმდეს ენა“?

– ვის სურს ჩვენი ენის დადუმება და რატომ?

– რისი დროა ახლა?

– რა შუაშია სოლომონი?

– როდის დაიქუხა საქართველომ, კვლავ დაქუხებას რომ ითხოვს პოეტი?

– რატომაა ეს ყოველივე დაკავშირებული ენასთან?

ღვთის მაღლით, ჩემი ბავშვობის ქუთაისში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა და... ჩვენ სულ სხვანი გავხდით... ისეთები, ვინც ჩვენდათავად სამოციანი წლების ბოლოს სტულქალაქურ შეკრებებზე ვბედავდით, ეს ლექსები გვეთქვა და „საქართველოს მოთმინების ფიალა“ გვედღევრძელებინა...

აი, ამისთვისაც მაღლობა მუხრან მაჭავარიანს, ჩვენს ცხოვრებაში იმ მძაფრი ნერვის გამოღვიძებისათვის, ქართული რომ ჰქვია!..

* * *

აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა ქუხს ხმა პოეტისა:

„მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!

რა ვუთხრა ისეთ ამხანავს! –

ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს!

სასექტემბრო მილოცვა უთხოვიათ პოეტისთვის და
ბრძანა: „*მე სასწავლო წელს სულითა და გულით ვულოცავ
მხოლოდ მას, ვინც სწავლობს მშობლიურ ენაზეო*“...

მაინც საჭიროდ ჩათვალა უფრო დაწვრილებით განემარ-
ტა:

„*ყოველმა ქართველმა, უწინარეს ყოვლისა, დედაენა უნ-
და იცოდეს!*

ენაშია ჩვენი ქართველობა!

ენაა ჩვენი სარწმუნოება!

ნახავთ სომეხს, არ იცის სომხური და არის სომეხი!

ნახავთ ებრაელს, არ იცის ებრაული და არის ებრაელი!

*ვერ ნახავთ ქართველს, ქართული არ იცოდეს და ქარ-
თველი იყოს!*“

პატივისცემა ყველას, მაგრამ თაყვანისცემა ქართველს!

* * *

რუსთაველმა განადიდა ქართული ენა, თუ ქართულმა
ენამ შექმნა რუსთაველი? მუხრან მაჭავარიანს ასე სჯერა –
სხვა ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ ვერ დაიწერებოდაო:

„ენა რომ არა, ისიც ასეთი,

როგორც იტყვიან – ყალბით ნახატი!

შენი თვით შოთა რასაც დაწერდა, –

ერთი იმასაც ვნახავდი!...“

სხვაგვარად:

„მრავალჭირვარამგადანახადი, –

უნატიფესი ენა ქართული

(ყველაზე კარგად რომლის ლაზათი

შოთას ლექსშია გამოხატული!)...“ – ასე გამოხატა

პოეტურად. ახლა პროზაულად: „*ქართული სიტყვა არც რუს-
თაველამდე და არც რუსთაველის შემდგომ არავის ისე არ და-*

უმორჩილება. ვითარცა რუსთაველს“... ამიტომაც რუსთაველი „ქართული სიტყვის მხედართმთავარი“. აქაც დიდებულია პოეტი: სიტყვა მხედარია, სიტყვები ლაშქარია ყოვლისშემძლე გმირი მხედართმთავრის ხელში...

მუხრან მაჭავარიანმა ისიც დაინახა, რომ ქართული სალიტერატურო ენის პირველი ფართომასშტაბიანი რეფორმა რუსთაველმა განახორციელა: რუსთაველი „არ დაჯერდა მანამდე არსებულ ლიტერატურულ ენას და თავისი ნაწარმოები დაწერა სრულიად საქართველოს ენით“. რუსთაველი – სულხან-საბა, ეს ერთი გენერალური ხაზია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისაო...

ჭეშმარიტად!

* * *

„ქართული სიტყვის მხედართმთავარზე“ საუბრისას საბას გაიხსენებს: „ასევე მოიქცა დიდი ქართველი მწერალი და ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანიო“; – იტყვის... და მუხრან მაჭავარიანის ერთგულ მკითხველს არ შეიძლება „მისი საბა“ არ გაახსენდეს – „ორი ცრემლიდან რომ საქართველოს გაჰყურებს“, ის საბა. არავის ალბათ საბა ასე არ დაუნახავს, ასე არ დაუფასებია, ასე არ შეუყვარებია ქართველი კაცისთვის, როგორც ეს მუხრან მაჭავარიანმა შეძლო... და არც ესაა შემთხვევითი: ქართულ სიტყვაზე უზომოდ შეყვარებული პოეტისათვის საბა უპირველესი ავტორიტეტია. მოგუსმინოთ: „მიყვარს ლექსიკონში კირკიტი. განსაკუთრებით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონია ჩემი უსაყვარლესი წიგნი“... საყვარელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული მწუხარებით დასცქერის პოეტი ლექსიკონში შემორჩენილ გარდაცვლილ სიტყვებს:

„მივჩერებივარ და... სიტყვაც მომჩერებია.

კუყურებ და... სიტყვაც მიყურებს.

მიყურებს, როგორც სურათი, — ოდესღაც ცოცხალი კაცისა...“

სიტყვაზე რომ ამდენს ფიქრობს, ამდენს მსჯელობს პოეტი, ამაში წვლილი საბასაც უდევს უთუოდ:

„ცხენს სხვას არ ანდობს კარგი მხედარი.

ხარს სხვას არ ანდობს კარგი მეხრე.

თოფს სხვას არ ანდობს კარგი მონადირე.

მე მყავს ჩემი საყვარელი სიტყვები.

(*ცხენზე, ხარზე და თოფზე უფრო საყვარელნი*)“—ო და ამით იმას ამბობს, არც ამ სიტყვების (და ზოგადად ენის) ნდობა შეიძლება სხვისთვის — ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ, ჩვენვე უნდა მივხედოთ... ჩვენ — ქართველებმა!..

საბას მადლი არის ალბათ იმაშიც, მუხრან მაჭავარიანმა შვიდ ქართულ სიტყვას შვიდი დიდებული გამოკვლევა რომ უძღვნა, ერთ წიგნად შეკრა და მოკრძალებული სახელი — „რამდენიმე სიტყვა“ — უწოდა... და კიდევ არაერთი შესანიშნავი გამოკვლევა ლექსიკოგრაფიული ხასიათისა ორტომეულის მეორე ტომში რომ მოუყარა თავი!.. ქართული ენის უზომო სიყვარული ამითაც გამოხატა პოეტმა...

* * *

ჩემი რჩევა კოლეგა ენათმეცნიერებს: ნუ შეეცდებით, მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში (და ზოგადად მის ნაწერებში) სასვენ ნიშნებს მიუსადაგოთ გრამატიკაში დადგენილი წესები; მუხრან მაჭავარიანს თავისი სისტემა აქვს, თავისი წესები, პირობითი ნიშნები — ლექსის ინტონაციით ნაკარნახევი... ამ სასვენმა ნიშნებმა პოეტისებური იტონაციით უნდა წავგაკითხოს მუხრან მაჭავარიანის პოეზია... ის აზრი უნდა დავგანახოს, რაც პოეტმა ჩაღო მასში... გავიხსენოთ: „*ხმა მთავარი!* — *სათქმელის შესატყვისი ხმა!*“ (ამ თემაზე უფრო ვრცლად იხ. აქვე გვ. 16-43).

* * *

სიტყვის ყადრი თუ ვინმემ იცის, იცის მუხრან მაჭავა-
რიანმაც. თუმცა „როგორ შეიძლება მწერალმა სიტყვის ყადრი
არ იცოდეს და მწერალი ერქვასო?!“ – გაცემით იკითხავს
პოეტი; განა არ იცის, რომ „ხახვის ფრანტა მწერლების მთე-
ლი გუნდი“ არსებობს, უსაგნო ამბიციითა და თავმოწონებით
„ჩემი სჯობსო“, რომ იძახიან... დედაენის ქომაგი პოეტისათვის
არაა ეს უწყინარი თავმოწონება: „თქვენი არ ვიცი და, მე კი
დარწმუნებული ვარ: რაც ჩვენმა მოსისხლე მტრებმა საუკუნე-
თა მანძილზე, საქართველოს მრავალგზისი დალაშქვრით ვერ
შეძლეს – სულ მალე მიაღწევენ ესენი, მოისპობა ენა ქართუ-
ლი! – უკეთუ ასე გაგრძელდა და ხმა არ აიმაღლა ვინმემ“.
და რომ არ ვიცოდე, როდის ითქვა ეს სიტყვები (1970 წ.)
და ვისი მისამართით, ვიფიქრებდი, დღეს იწერება-მეთქი...
თუმცა ეს არის კლასიკა – მარად თანამედროვე...

* * *

„ეს აბსოლუტური სმენა, ეს გამჭვრიახი თვალი, ეს უძ-
დიდრესი ლექსიკა“... ამას რუსთაველზე ამბობს მუხრან მაჭა-
ვარიანი... ახლა მის „აბსოლუტურ სმენას“, „მის გამჭვრიახ
თვალსა“ და „მის უძდიდრეს ლექსიკას“ გავადევნოთ თვალი:

„საჩხერეს მიაშურებენ
პარასკევს ჩვენებურები,
ცხამიდან მოდის ურემი,
ჩონთოდან მოდის ურემი,
იტავაზიდან მოდიან,
ბახიოთიდან მოდიან...

– იმე...

– კი, მარა...

– შე, კაცო...

– ქე მაინც...

და...

— რა მცოდნია!

ისმენენ ჩემი ყურები.

მოჭრიალებენ ურმები;

გოჭებით,

ინდაურებით —

მოდინ ჩვენებურები.“

დავით კაკაბაძის მიერ დახატული იმერეთი არ გაგახსენდათ? ვინ უკეთ ხმარობს — მხატვარი ყალამს თუ პოეტი ყალამს? ძნელია ამის თქმა... დიდოსტატია ორი მხატვარი იმერეთისა... დავით კლდიაშვილის შემდეგ იმერული დიალექტის მეშვეობით იმერული ხასიათები ასე არავის დაუხატავს:

„— რა საქეიფო ამინდია!..

რას იტყვი?..

— აჰა!..

— დალევდი ახლა?..

ხო დალევდი?..

დალევდი?..

— იმე!..“

ანდა: „— პეტუშა გახსოვს?

— იმე!

— რა ბიჭი იყო!

— აჰა!“

რომელი ერთი...

ესაა ენის გრძნობა; „აბსოლუტური სმენა“, „გამჭრიანი თვალი“ და „უმდიდრესი ლექსიკა“... ესაა მუხრან მაჭავარიანი...

* * *

როცა მწერალზე საუბრობს, სიტყვისადმი მისი დამოკიდებულებაა მთავარი მუხრან მაჭავარიანისათვის:

გიორგი ლეონიძე — „ლაპარაკობს ვულში ჩამწვდომად. არც ერთი უადვილო სიტყვა...“

კონსტანტინე გამსახურდია — „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად თითქმის ერთადერთი ქართველი მწერალია, რომელმაც თავისი ზოგადქართული სულისკვეთება სრულიად საქართველოს ენით გამოამზეურა (ენით, რომელიც მოიცავს დღევანდელი საქართველოს ყველა კუთხეს უკლებლივ და საქართველოზე გადათქარუნებულ ყველა საუკუნეს — ქრისტეს შემდეგ)“.

სერგო კლდიაშვილი — „ჩვენ ბევრი ოსტატი გვყავს ქართული სიტყვისა (ძველიც და ახალიც), მაგრამ სერგო კლდიაშვილის ოსტატობა ამ საქმეში იქამდე აღწევს, რომ მკითხველი განიცდის არა ნაოსტატარ სიტყვას, არამედ სურათსა და მოქმედებას“.

გიორგი შატბერაშვილი — „ქართული სიტყვის დიდი მოურავია“... „როგორ დაიზებით ეპყრობოდი ყოველ სიტყვას! როგორ ელოლიაგებოდი! — ხან კი როგორ თავვაძოდებით შეებმოდ. ქართულ სიტყვას დასტურ დიდი მოურავი მოაკლდა“...

ანა კალანდაძე — „მშობლიური ენის სულზეა მორგებული ანა კალანდაძის ხმა, რაც ყოველ დროში და ყოველ ქვეყანაში იყო და არის ლექსის უკვდავების საწინდარი...“

მურმან ლებანიძე — „ენა ქართული, — ბევრის ხელში შესაბრალების, — ბედნიერია მურმანის ხელში. ისე ბედნიერი, როგორც თევზი წყალში და ფრინველი ცაში“.

ირაკლი აბაშიძე — „მაღლობა ლექსისათვის „ხმა კატა-მონთან“... „ამ ლექსის წერისას, — მარჯვენა მისი ავტორისა, მჯერა, ხელთ ეყრა თვით მაცხოვარს, ვითარცა ხელი იმ ბაღლისა, წერას რომელიც სწავლობს, — მოძღვარს უპყრია მისას.“

აკაკი შანიძე — „ვისაც ქართული ენა უყვარს, ვინც ქართული სიტყვის ფერ-ხორცი იცის, ვისაც საქართველოსთვის გული შესტკივა, ერთი სიტყვით — ვინც ნაღდი ქართველია, ყოვლად შეუძლებელია, მან არ იცოდეს: ვინ არის აკაკი შანი-

ქე“... „კაცი, რომელიც ჩიტებივით ზედავს ქართულ სიტყვებს, ზმაზე ცნობს ყოველ მათგანს...“ და სხვა... და სხვა...

აქვე ისიც გავისხენოთ, ჭეშმარიტი ქართველი ქართული ენით არის ავად, საქართველოთი არისო ავად... „ღმერთმა ნუმც გაჰყაროს იგი ამ სენს, ვინაიდან ეს ის სენია, რომლისაგან როგორც კი განიკურნები, ლეში ხარ მაშინვე!..“

* * *

მუხრან მაჭავარიანს თავისი ანგარიში აქვს:

„ქართული ანბანის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ენა!

ქართული ენის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ანბანი!

ორთავეს გარეშე წარმოუდგენელია საქართველო!

საქართველოს გარეშე წარმოუდგენელია ორთავე!“

ესეც მხოლოდ მუხრან მაჭავარიანს უნდა ეთქვა: „მთელი ქართული ანბანი (ანიდან ჰოემდე) თავს იწონებს საქართველოთი:

ნამყოთი მისითა,

აწყოთი მისითა,

უძრავითა მისითა,

მოძრავითა მისითა,

ცითა მისითა,

მიწითა მისითა...“

და ესეც მუხრან მაჭავარიანს უნდა გაეგონა, დაენახა:

„ანი იძახის: — მე ყველაზე უკეთესი ვარ, აი, რამდენი ძვირფასი სიტყვა იწყება ჩემით: ალავერდი, ანანური, ასპინძა, ალუდა, ალვა, არწივი, არავვი, ალაზანი...“

ბანი იძახის: — არა, მე ვარ ყველაზე უკეთესი, დახე რამდენი ძვირფასი სიტყვა იწყება ჩემით: ბეთანია, ბიჭვინთა, ბოლნისი, ბაზალეთი, ბზიფი, ბადრი, ბზეწვია, ბალი...“

ასე: განი, დონი, ენი, ვინი, ზენი და ა. შ.“...

ისე, იმასაც დაუვუკვირდეთ, თითოეულ ასოზე უპირველესად რომელი სიტყვები ახსენდება პოეტს...

* * *

ეფიქრობ... გავბედავ და ვიტყვი: საქართველო, ქართველი და ქართული თავის პოეზიაში იმდენჯერ არავის უხსენებია, რამდენჯერაც მუხრან მაჭავარიანს...

ერთხელ კითხვაც დაუსვამს თავისი თავისთვის, რას ისურვებდიო და, აი, პასუხი:

„თუ მსურდეს სხვა რამ, —

ღმერთმა დამლახვროს!

მსურს მხოლოდ იგი, —

რაც საბას სურდა:

კაცმა ქართველმა, —

მსურს, —

ქართულად ილაპარაკოს

და საქართველოს, —

საქართველო, —

მსურს, —

ერქვას მუდამ!“

აი, ეს არის მუხრან მაჭავარიანი:

„საქართველოთი გახარებული,

საქართველოთი გამწარებული,

საქართველოთი გულანთებული,

საქართველოთი გულდათუთქული,

ერთი სიტყვით:

საქართველოთი დაავადებული კაცია იგი!...“

და ჩვენც

უნდა ვუსმინოთ მუხრან მაჭავარიანს! –

უნდა ვენდოთ მუხრან მაჭავარიანს! –

უნდა მივყვეთ მუხრან მაჭავარიანს!

„გევალება, საქართველოვ!

შეგიძლია, საქართველოვ!

გაგიმარჯოს, საქართველოვ!“

24. 05. 09

ჟურნალი „ქართული მწერლობა“ №3, 2009

სმპ, სიტყვა, ფერტილი, ღატქნილი სტრიქონი...

მუხრან მაჭავარიანი აცხადებს: „პირადად მე ლექსში სასვენ ნიშნებს ვანიჭებ, მეტი რომ არა ვთქვა, დიდ მნიშვნელობას“...

თითქოს ამ განცხადებაში უცნაური არაფერია: ყოველი წიგნიერი კაცი იცავს პუნქტუაციის დადგენილ წესებს; ეს მისი წიგნიერების გამოვლენაა... პუნქტუაციას კი, ცხადია, აქვს თავისი წესები; გრამატიკოსთა მიერ დადგენილი „შშრალი“ წესები.

თუ ასეა, რა თქვა მაშინ მუხრან მაჭავარიანმა ორიგინალური?... არა, მუხრანი რომ სასვენ ნიშნებზე საუბრობს, ეს არაა პუნქტუაციის ის წესები, ჩვენ რომ ვიცით... ეს „მუხრანული“ წესებია... ის ვერ ჯდება ორდინარულ წესებში...

ვინც დაფიქრებულა ანა კალანდაძის, გალაკტიონ ტაბიძის, გრიგოლ რობაქიძის, ოთარ ჩხეიძის ნაწერებში პუნქტუაციის საკითხით, დაგვეთანხმება: შემოქმედთა აზრით, პუნქტუაციის „შშრალი გრამატიკული წესები“ ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს... თეორიულად თითქოსდა ერიდებიან ამის თქმას, თუმცა არც უამისობაა. თავის დროზე კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „დედანს საშინელი სისწრაფით ვწერ. შავში სასვენ ნიშნებს უნდა ვადავახტე (მე მგონია, როცა ჩვენი მკითხველები კითხვასა და ნაწერის გაგებაში უკეთ გაიწაფებიან, სასვენი ნიშნები უნდა ვავაძეკოთ. ეს დიდ დროს გვართმევს. ძველებს ხომ ჩვენებური სასვენი ნიშნები არა ჰქონიათ, მაინც კარგად წერდნენ. პირადად მე არა მგონია, ასეთ რამეს რომ მოვესწრო).“

ვახტანგ ჭვლიძისათვის მიუპართავს ოთარ ჩხეიძეს: „თქვენ რომ რედაქტორი დამინიშნეთ „ტინის ხილისა“ შიშობს, ჩემს პუნქტუაციას არ თანხმდება, დამსჯიანო და შიშობს.

მე არ მომწონს ეს სქოლასტიკური პუნქტუაცია, აუარებელი და ზედმეტი მძიმეებია, უნდა განიტვიკირთოს. „მეც ასე მგონია, ამბობს ვახტანგი, – როგორც ვინდოდეს, ოლონდ სჯობს, დაიწეროს კიდევაც“. კიდევაც ვაპირებმეთქი, თუ თანახმა ხარ, შენც მოაწერე ხელიმეთქი. კარგით, თანხმდება“... ეს ოთარ ჩხეიძის ჩანაწერებშია; მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მას ასეთი წერილი არ დაუწერია... ალბათ იმიტომ, რომ არაა იოლი, ოთარ ჩხეიძისეული „პუნქტუაციის სისტემა“ წესებში მოაქციო...

ვახტანგ ჯავახაძე წერს ერთგან: „ანა კალანდაძის ლექსებში სამი წერტილის სიმრავლე შეინიშნება, ისევე, როგორც მარინე ცვეტაევასთან – ტირე. ორთავეს გამიზნული ფუნქცია აკისრია. ალბათ რომელიმე ლინგვისტი დაწერს ოდესმე – „მრავალწერტილი ანას პოეზიაში“... ამ ნაკარნახევი სათაურით მე ვცადე გამოკვლევის დაწერა (იხ.; „მრავალწერტილი ანა კალანდაძის პოეზიაში“: კრებული „ზურაბ ჭუმბურიძეს“, თბ., 2017). ეს წერილი ანას ხელნაწერი წიგნების მიხედვით დაიწერა. საინტერესო სურათი დაიხატა: ანას თავისებური სისტემა აქვს სასვენი ნიშნებისა: მძიმე და ორი წერტილი (...), მძიმე და სამი წერტილი (...), მძიმე და ოთხი წერტილი (...); ანდა ძახილის ნიშანი და ორი (ან სამი, ან ოთხი) წერტილი... საინტერესო ფაქტია: ანა კალანდაძე პროფესიონალი ენათმეცნიერია; ცხადია, ზედმიწევნით იცის პუნქტუაციის დაკანონებული წესები, მაგრამ... თურმე როდესაც წიგნის რედაქტორმა ვ. ჯავახაძემ მძიმისა და ორი წერტილის (...) შეცვლა მოითხოვა სამი წერტილით, პოეტს წინააღმდეგობა არ გაუწვია რედაქტორისათვის... როგორც ჩანს, პოეტური სათქმელი რალაც სხვას ითხოვდა, არასტანდარტულს, მაგრამ მტკიცება

თავისი პოზიციის სისწორისა არ უცდია პოეტს... აქვს ასეთი ნათქვამი ანას: სათქმელმა თავისი ფორმა მოითხოვაო; ანდა: „*ჩვერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და, ამდენად, განუძარტავიც*“...

ლევან ბრეგაძესთან ვნახე: ამონარიდში გამოტოვებული ადგილის მისანიშნებლად ფრჩხილებში ჩასმული სამი წერტილი (...); ამით შემოკლებული ამონარიდის შემთხვევა განახვავა სამი წერტილის ჩვეულებრივი ფუნქციისაგან. ასეთი ხერხისთვის მეც მიმიმართავს, რადგან ლოგიკური მეჩვენება, თუმცა ტრადიციულ სასვენ ნიშანთა სისტემაში ასეთი წესი არაა...

* * *

ჩვენ მუხრან მაჭავარიანზე დავიწყეთ საუბარი...

დავუბრუნდეთ ისევ მუხრან მაჭავარიანს – ძალზე ორიგინალურ შემთხვევას სასვენ ნიშნებზე საუბრისას...

ოთხი რამ – ხმა, სიტყვა, წერტილი, დატეხილი სტრიქონი – არის ურთიერთკავშირში და ქმნის იმ რთულ რეალობას, რომელსაც მუხრან მაჭავარიანის სტილის თავისებურება ჰქვია...

* * *

მუხრან მაჭავარიანი წერს: „ერთ დროს პოეტების გარკვეული წრე (და ძალიან სავულისხმო პოეტებისაც) სრულიად უარყოფდა პუნქტუაციის მნიშვნელობას ლექსში.“

პირადად მე ლექსში სასვენ ნიშნებს ვანიჭებ, მეტი რომ არ ვთქვა, დიდ მნიშვნელობას.“ – ეს ზოგადი პოზიციია პოეტისა...

ასევე: ავტორისეული პუნქტუაციის სწორად გააზრება; ტექსტის სწორად წაკითხვა (პაუზა, გრძელ და მოკლე სტრიქონთა განლაგების გათვალისწინება...) – აუცილებელი პირობაა ავტორის ჩანაფიქრის სწორი გაგებისათვის: „*მკითხველი, რომელიც მისთვის საჩოთირო ლექსში, დაიცავს პუნქტუაციას,*

თავის ადვილზე გააკეთებს პაუზას, ანგარიშს გაუწევს კრძელ და მოკლე სტრიქონთა განლაგებას – ერთი სიტყვით, ლექსს წაიკითხავს ისე, როგორც უნდა წაიკითხოს, და, როგორც ის ავტორს აქვს დაწერილი – დარწმუნებული ბრძანდებოლეთ, შედეგი ვაცილებით უკეთესი იქნება“...

უცნაურად მოეჩვენოს შეიძლება ვინმეს, მაგრამ მუხრან მაჭავარიანის აზრით, პოეტის ნიჭი პუნქტუაციაში ვლინდება:

„არსებობს თუ არა ნიჭის საზომი რაიმე ხელსაწყო?! არსებობს! – ეს არის წერტილი! დიახ! წერტილი (აი, ეს –).

სად გაჩერდები, სად დასვამ წერტილს, რა სტადიაში ჩათვლი შენს ნაწარმოებს გასრულებულად... ჩათვლამდის კი ძიებაა და ძიება! ხოცვა-ჟლეტაა, ხოცვა და ჟლეტა, სტრიქონთა და სიტყვათა, აზრთა, რითმათა... ჰოდა, ამ ხოცვა-ჟლეტისას, რაც თავში მოვივა და რასაც ცოცხალს დატოვებ – იგია, სწორედ რომ იტყვის – რას წარმოადგენ შენ, როგორი ნიჭის პატრონი ხარ!

ამიტომ ადვილად არ უნდა ენდო სიტყვას, არ უნდა მოგზიბლოს მისმა ვარეგნობამ, არ უნდა დაინდო იგი, არ უნდა მისცე შეღავათი, რადგან მან თვითონ არ იცის დანდობა. მანძილი ბოლო წერტილიდან ნაწარმოების პირველი სიტყვის პირველი ასოს მარცხენა კუთხემდე პირდაპირპროპორციულია ავტორის ნიჭის“...

„წერტილი“ ამ შემთხვევაში ზოგადი ტერმინი ჩანს: პუნქტუაციას გულისხმობს – წერტილს, მძიმეს, ტირეს, კითხვის ნიშანს, ძახილის ნიშანს, ფრჩხილებს!.. ამ ნიშანთა „მუხრანული“ კომბინაციები, ვარიაციები არის სწორედ მუხრანის ნიჭის გამოვლენა (მისივე თეორიის შესაბამისად)...

ნიჭის საზომი წერტილიაო...

ვთქვით, წერტილი სიმბოლური ნიშანია... ამ მუხრანულმა შეგონებამ აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ერთი ფრიად საინტერესო აზრი გამახსენა (წერტილთან დაკავშირებული):

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სსდომაზე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულის გამოცემის საკითხი განიხილებოდა (გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი). გამოცემის რედაქტორმა მიხეილ ჭაბაშვილმა ბრძანა, ჯერ არ არის მზად ლექსიკონი გამოსაცემადო. ბატონმა არნოლდმა მკაცრად თქვა; ლექსიკონზე მუშაობა არ მთავრდება! უნდა შეძლოთ წერტილის დასმა! – დიახ, წერტილის დასმა ნიჭია, სწორად გათვლილი და დაგეგმილი სამუშაოს ფინალი!..

* * *

მუხრან მაჭავარიანი სასვენი ნიშნების ტოლფას მნიშვნელობას ანიჭებს ლექსის გრაფიკულ სახეს. როგორ „ამტვრევს“ სტრიქონებს და რატომ „ამტვრევს“ სტრიქონებს? მოვუსმინოთ:

„რატომ „ვამტვრევ“ მაგალითად მე ლექსის სტრიქონებს?! რატომ ვალაგებ სიტყვებს ხან „კიბურად“, ხან „სიმაღლეზე“, ხან „ჯვარედინად“?!

მე არ ვჯერდები მოქმედების სიტყვიერად ხატვას და ხშირად მივმართავ სიტყვების განლაგებით ხატვას მოქმედებისას.

ეს შეიძლება დიდი არაფერია, მაგრამ ეს კია, რომ ხატვის ეს მეთოდი ქართულ პოეზიაში (და არა მარტო ქართულში) ჩემამდე არავის გამოუყენებია.

სტრიქონებს ჩემამდეც ბევრი ანაწევრებდა (და არა ამტვრევდა) და დღესაც არაერთი ანაწევრებს, მაგრამ ეს დანაწევრება სტრიქონებისა, უმრავლეს შემთხვევაში ხდებოდა და ხდება (რა თქმა უნდა, თუ ზოგი ავტორის პონორარისადმი მიდრეკილებას გამოვრიცხავთ) ამა თუ იმ სიტყვაზე აქცენტის გაკეთების მიზნით“..

(ჩვენ საამისო მაგალითებს ქვემოთ მოვიყვანთ...).

მუხრან მაჭავარიანისათვის სასვენ ნიშნები თუ „სტრიქონთა დამტვრევა“ – ყველაფერი ემსახურება სიტყვის ფასის გაგებას...

მუხრან მაჭავარიანისათვის სიტყვის ფასი სხვაა...

თითქოს ასეა: სიტყვა სიტყვაა ლექსშიც და ცხოვრებაშიც... მაგრამ არ ყოფილა ასე; პოეტის აზრით, „*ლექსში მოქცეული სიტყვა უფრო მძაფრია, ვიდრე იგივე სიტყვა ცხოვრებაში!*“

რა ანიჭებს ლექსში ამ სიმძაფრეს სიტყვას? – ხმა!.. ინტონაცია!.. ამას სასვენი ნიშნების დახმარებით გადმოსცემს პოეტი...

ის, რაც პოეტისეულ სიმძაფრეს სძენს სიტყვას, სასვენ ნიშანთა თავისებური კომბინაციითა თუ ვარიანტებით გადმოიცემა... და სტრიქონთა დამტვრევით...

სიტყვას „მოქნევა“ სჭირდება, მთავარია, როგორ მოიქნევს სიტყვას პოეტი – ამაშია მისი სიღიაღე: „*რუსთაველისა და აკაკის შემდეგ, გალაკტიონით ქართული სიტყვა იშვიათად თუ მოუქნევია ვინმეს*“...

მეტიც, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული სიტყვა პოეტმა უნდა გახედნოს, თავისი დამლა დაასვას: „*გალაკტიონმა არა მარტო არაერთი გაუხედნავი სიტყვა გახედნა, თითქმის ყველა ქართულ სიტყვას თავისი დამლა დაასვა:*

ფეხის ყოველ გადადგმაზე, ყოველ სიტყვაზე, –

მყისვე მისი სტრიქონი გამოხტება ხოლომე.

ბერედა სად?!

იმ ქვეყანაში, სადაც რვაასი წელია ლექსი წვიმს, ლექსი ქუხს და ლექსი ელაგს!..“

ამგვარ ამონარიდებს კომენტარიც არ სჭირდება; განმარტებაც სჭირს; ეს ის შემთხვევაა, როგორც თავად პოეტი იტყოდა, როცა სათქმელს ყველაზე უკეთ თავად ამბობს ნათქვამი...

კი, ეს „სიტყვათა გახედნა“, „დაძლის დასმა“ – ისაა, რაც თავისებურ სახეს აძლევს ლექსს... სასვენი ნიშნები თუ გრაფიკული სახე ლექსისა გვეხმარება ამის აღქმაში...

აი, ეს მსჯელობაც მოვისმინოთ; იქნებ ეს დაგვეხმაროს საკითხის გააზრებაში:

„ორფაა ვალაკტიონის სიტყვა;

სიტყვა, როგორც სიტყვა და სიტყვა, როგორც ხმა, – ერთმანეთს ერწყმის, იმუხტება ზიარი აზრით, ქმნის რაღაც მესამეს და სწორედ ეს რაღაც მესამეა ვალაკტიონი.

ვალაკტიონის ლექსის პულსი, – ზედმიწევნით ქართული, – უშუალოდ ქართული ენის უღერაზეა დამყარებული“.

„ორფა სიტყვა“... „სიტყვა, როგორც სიტყვა და სიტყვა, როგორც ხმა“... „ლექსის პულსი“... – ეს ის ცნებებია, რომელთა განმარტება მხოლოდ მუხრან მაჭავარიანს შეეძლო... ჩვენ უნდა გავიმეოროთ, ვირწმუნოთ და ვიგრძნოთ...

პოეტი ენის სტიქიაში უნდა იჯდეს... ეს სხვა რამეა... ისევ მუხრან მაჭავარიანს მოვუსმინოთ:

„დიდი სიტყვიერი მარავი სრულიად არ ნიშნავს „ენის სტიქიაში ჯდომას“...“

ენის სტიქიაში ჯდომა ნიშნავს: ფრაზის, სტროფის ქართული ენის ბუნებისამებრ აწყობას, ეროვნული რიტმის დაჭერას.

კინ და როგორ განსჯის: ზის თუ არა ესა თუ ის პოეტი ენის სტიქიაში?

ამის პირუთვნელი მსაჯული მუხსიერებაა: რაც ადვილად გამახსოვრდება – ყველაფერი ენის სტიქიაში ზის.“

ესეც „მუხრანული“ გააზრებაა...

„ენის სტიქიაში ჯდომა“ ენაზე მუდმივი მუშაობის შედეგია, ჯოჯოხეთური შრომისა...

„მწერალმა, პოეტმა თუ პროზაიკოსმა, სარგებლობს რა ხალხის ენით, იღებს რა მას, იგი (ეს ენა) უნდა დაამუშაოს

ზედმიწევნით, დახვეწოს ყოველმხრივ, ნაწარმოებში არ უნდა იყოს არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არც ერთი ცუდი ადგილი, არც ერთი იაფფასიანი შედარება, გაპიროვნება და ა. შ. ენა ნაწარმოებისა ისე უნდა გაამშვენიეროს მწერალმა, რომ ხალხს „გაუჭირდეს“ თავისი ენის ცნობა (კარგი გაგებით). მას მოჰყვება მკითხველთა გემოვნების გაზრდა, მათი ყოველდღიური სამეტყველო ენის დახვეწა და გამშვენიერება...“

„როდესაც ლექსში არაა ზედმეტი სიტყვა, და არც არის აზრობრივად აუცილებელი, რაც არ უნდა ბევრი სიტყვა იყო შივ, მკითხველს მაინც ცოტა სიტყვა ჰკონია ამ ლექსში“...

იმ უზარმაზარ სამყაროში, რასაც ენის ლექსიკური ფონდი ჰქვია, „სიტყვა უნდა იპოვო“, სიტყვებს უნდა დაუბრუნო თავისი „პირველშობილი მნიშვნელობა“... ესაა პოეტის უცილობელი გამარჯვების წინაპირობა:

„მოვლენის, საგნის ანდა მოქმედების ზუსტად გამოხატველი სიტყვის პოვნა ჩემთვის დვას ყოველგვარ ბრწყინვალე შედარებაზე და სახეზე მაღლა.

ეს მეთოდი სიტყვებს უბრუნებს თავის პირველშობილ მნიშვნელობას.

ეს მეთოდი უახლოვდება ენის წარმოშობის ხანას.

ამ მეთოდით შექმნილი ნაწარმოები მკითხველზე ტოვებს ძალზე უბრალო შთაბეჭდილებას. სამაგიეროდ, ამ მეთოდით შექმნილი ლექსი საოცრად გამოხატავს იმას, რისთვისაცაა იგი დაწერილი“...

ლექსში წინა პლანზე სწორედ სიტყვა უნდა იყოს წამოწეული, თუ გვინდა, რომ მძაფრად ვიგრძნოთ ქართული ენის სიუხვე და ფერხორცი, — ასე ფიქრობს მუხრან მაჭავარიანი:

„მურმან ლებანიძე ეკუთვნის პოეტთა იმ პლეადას, რომელთა პოეზიაში წინა პლანზე სიტყვაა წამოწეული.

სწორედ ამ თვისების გამოა, რომ მურმან ლებანიძის ლექსებში ესოდენ მძაფრად იგრძნობა ქართული ენის სიუხვე და ფერხორცი“...

და რომ, პოეტის შემოქმედების ღირსეული დაფასება ქართული სიტყვის დაფასებაა, ასე ფიქრობს პოეტი:

„ერთხელ კიდევ დაფასდა სიტყვა ქართული.

შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა საქართველოს სასიქადულო პოეტს, გიორგი ლეონიძეს“...

მუხრან მაჭავარიანი ასე ხედავს: ყოველ სიტყვას აქვს თავისი „მძაფრი გემო, ფერი და სუნი“...

მუხრან მაჭავარიანი როცა რუსთაველისა და გალაკტიონის გენიალურობაზე საუბრობს, მაშინ წერს: „გარდა რუსთაველის სიტყვისა, არც ერთი ქართველი პოეტის სიტყვას არა აქვს ისეთი მძაფრი გემო, ფერი და სუნი, როგორც გალაკტიონის სიტყვას“...

და კიდევ: ყოველ სიტყვას აქვს თავისი საკუთარი რიტმი; რიტმი – სინამდვილის ასახვის ყველაზე უტყუარი საშუალება. მოვუსმინოთ:

„ჩემთვის ქვეყანაზე არაფერი არ არსებობს რიტმის გარეშე. სინამდვილის ასახვის ყველაზე უტყუარ საშუალებად მე მიმანნია რიტმი. ჩემთვის ყოველ სიტყვას აქვს საკუთარი რიტმი. ჩემთვის სიტყვა არის შედარება და მხატვრული სახე“...

ასე რომ, სიტყვაა მთავარი... ესეც ვთქვათ: სულხან-საბას უმადლის პოეტი ქართული სიტყვისადმი მისეულ დამოკიდებულებას:

„ბუკინისტების მალაზიაში ერთხელ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი ვიყიდე. წიგნმა, ენისადმი, სიტყვისადმი მწერლისეულმა ასე ფაქიზმა მოპყრობამ მთელი ჩემი არსება შექრა. სწორედ საბას ვუმადლი, რომ სიტყვისადმი საოცრად

ფაქიზი დამოკიდებულება გამიჩნდა. შემდეგ „სიბრძნე სიცრუისა“ წაეკითხე და საბამ მთლიანად დამიპყრო. ალბათ ამ დიდმა სიყვარულმა დამაწერიდა საბასადმი მიძღვნილი ლექსი“...

დიახ, სიტყვააო მთავარი...

და არა მხოლოდ სიტყვა...

* * *

„**ხმა არის მთვარი!** – სათქმელის შესატყვისი ხმა!“ – წერს ერთგან მუხრან მაჭავარიანი...

რა არის ეს „ხმა“?.. პოეტი ასეთ განმარტებასაც იძლევა: „**ლექსი, რომელიც ძირითადად მხატვრულ ხმაში აზროვნებას წარმოადგენს, – ყოვლად დაუშვებელია, განიხილო, – როგორც აზროვნება მხატვრულ სახეებში... სწორედ და მხოლოდ მხატვრულ ხმაში აზროვნება გახლავთ შინაარსი ესოდენ ვაცვეთილი სიტყვისა, – ნიჭი.**“

თითქოს ხმა და ინტონაცია სინონიმებია მუხრან მაჭავარიანისათვის: „**ხმას არავინ იღებს მწერლის ინტონაციის საჭიროებაზე...**“ მწერალს თავისი ინტონაცია უნდა ჰქონდეს; ამიტომ ბრაზობს კიდევ ზოგჯერ – „**ინტონაცია სხვისია**“ (ამას რამდენიმეგზის იმეორებს)... „**სავსებით განსხვავებული ინტონაციაა**“... დიახ, „**ხმაა მთავარი**“... „**ინტონაციაა მთავარი**“... „**უმაღლეს პოეტურ გამარჯვებად მიმაჩნია, აზრისა და ტონალობის შესაფერისობა, აზრის გამამაფრებელი ხმის აღმოჩენა**“... ამიტომაც ყოველ აზრს თავისი ხმა უნდა შეუერთოს პოეტმა საკუთარი „**ხმის არსენალიდან**“... ამ ხმით უნდა გაამაფროს აზრი...

თავად ასე ქმნის ლექსს: „**ლექსის შექმნისას სიტყვასა და სტრიქონს ხმამალა წარმოთქმით ისევე ვუსინჯავ უღერადობას, როგორც ბროლის ჭურჭელს ანდა მუსიკალურ ინსტრუმენტს ხმას უსინჯავენ ხოლმე. ალბათ, ამის გამოა, რომ პირადად ჩემზე ჩემი ლექსების უმრავლესობა სწორედ ხმამალა კითხვისას ტოვებს სრულყოფილ შთაბეჭდილებას**“...

„ხმას უსინჯავს სათქმელს“... ცნობილი ფაქტია: მუხრან მაჭავარიანი ლექსებს ზეპირად თხზავდა; ბოლოს სცემდა და ისე თხზავდა... „ხმას უსინჯავდა“ და როცა ჩათვლიდა ლექსს დასრულებულად, მერე გადაჰქონდა ქალაღზე... ესეც ცნობილია: სწორედ ეს ფაქტი გაითვალისწინა ოჯახმა და, როცა ახალი ბინა მიიღეს მაჭავარიანებმა, ორი ოთახი გააერთიანეს, რომ ლექსის თხზვისას მეტი სივრცე ჰქონოდა სასიარულოდ პოეტს...

ერთგან წერს მუხრან მაჭავარიანი: „როგორც სამღერლად არის საჭირო ხმა და სმენა (უკეთუ კაცი ურცხვი არ არის), ასევე ლექსის წასაკითხად აუცილებელია ლექსის წაკითხვის ცოდნა. ლექსი ისე უნდა წაიკითხო, — როგორც იგია დაწერილი, და არა ისე, — როგორც შენ ვსურს“...

ლექსის თემატიკას, შინაარსს (ანუ სათქმელს) უნდა შეესაბამებოდეს ხმაო, ინტონაცია... ლექსი უნდა „მოერგოს“ გარემოს, აუდიტორიას... — წერს ერთგან პოეტი: კლდეკარს ვიყავითო, „იქაურობას რუსთაველის სტრიქონი მოერგო მხოლოდ“...

რა გაეწყობა! —

ყოველი პოეტის ხმას თავისი ასპარეზი აქვს“...

(გადახვევა: ჰყვებიან: 1964 წელს უნივერსიტეტში ოცაციები არ ცხრებოდა და ხელში აყვანილი გამოიყვანესო დარბაზიდან პოეტი!.. იმ დარბაზს მუხრანის ხმა მოერგო...).

„მკითხველმა წაიკითხოს ისე, როგორც ავტორს დაუწერია ისინი“... ამ თვალსაზრისით გადავხედოთ მუხრან მაჭავარიანის პოეზიას; რაც არსებითია, მოუუსმინოთ, როგორ კითხულობს პოეტი საკუთარ ლექსებს და ვცადოთ, ისე წავიკითხოთ — არ დაუჟარგოთ (არ შევუცვალოთ) ხმა... თუ შევძლებთ, შევეუდაროთ მისი წაკითხული (ზეპირი ინტონაციები) დასტამბულ ლექსებს და ამოვხსნათ საიდუმლო „მისი სასვენი ნიშნების სისტემისა“, მისი „პოეტური ხმის თეორიისა“... ანდა

„დატეხილი სტრიქონებისა“, ანუ მისი ლექსების გრაფიკული თავისებურებისა...

დიან, მუხრან მაჭავარიანის „თეორია“ სიტყვაზე, ხმაზე, წერტილზე, სტრიქონთა დატეხაზე უშუალო კავშირშია იმასთან, რასაც სასვენ ნიშანთა სისტემას ვეძახით მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში... პოეტს არაფერი „ეშლება“ (თუ „გრამატიკულად განათლებულმა“ რედაქტორ-სტილისტებმა პოეტისადა უნებურად არ ჩაასწორეს...)...

რა თქმა უნდა, ყველა თავისებურ შემთხვევას ვერ ავხსნით, უბრალოდ, ჩვენ ვცდით, ვაჩვენოთ ეს თავისებურებები (ცხადია, შეძლებისდაგვარად...)...

* * *

კარგა ხნის წინათ გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში (თბილისში) ხელნაწერი ვნახე ლექსისა „მე და ღამე“. უცნაურმა პუნქტუაციამ მიიქცია ჩემი ყურადღება:

„ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის,

ღნება,

სიო, სარკმლით, მონაბერი, ველთა ზღაპრებს, მეუბნება,

მთვარით, ნაფენს, არემარე, ვერ, იცილებს, ვერცხლის

საბანს,

სიო აკრთობს და ატოკებს ჩემს სახლის წინ იასამანს“.

პირველ და მეოთხე სტრიქონებში პუნქტუაცია ჩვეულებრივია (ნორმატული), მეორე და მესამეში – არაჩვეულებრივი. ყოველი სიტყვა მძიმით გამოიყოფა, გარდა სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულისა (ველთა ზღაპრებს და ვერცხლის საბანს – ერთ სინტაქსურ ერთეულადაა აღქმული)... ჩემთვის ხელმისაწვდომ არცერთ ბეჭდურ გამოცემაში პუნქტუაციის ხელნაწერისეული ვარიანტი არაა წარმოდგენილი... ცხადია, პოეტისათვის ეს არ ჩანს პუნქტუაციური ლაფსუსი...

არც ის მგონია შემთხვევითი გალაკტიონთან, როცა მხოლოდ სტროფის ბოლოსაა დასმული წერტილი, სტროფში სხვა სასვენი ნიშანი არაა:

„ასეთია ნაზი ბედი
ბედი რჩეულ ფერის
სიცოცხლეში თეთრი გედი
მხოლოდ ერთხელ ძღერის.“

გალაკტიონის სულ რამდენიმე ხელნაწერი მაქვს ნანახი; მაგრამ ამ ორმა ფაქტმა დამაფიქრა: სასვენი ნიშნების საკითხი პოეტურ ტექსტში არ არის ისე მარტივად, როგორც ეს გრამატიკოსებსა და სტილისტ-რედაქტორებს გვგონია. ინტერესი ამ თემისადმი სწორედ გალაკტიონმა გამიჩინა და შემდეგ მუხრან მაჭავარიანისა და ანა კალანდაძის პოეზიამ მიიქცია ყურადღება. ამთავითვე ვთქვათ: ამ თემაზე საუბრის შესაძლებლობას ძირითადად ხელნაწერები იძლევა, თუმცა ბეჭდური გამოცემებიც მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით მუხრან მაჭავარიანის შემთხვევაში). დიახ, რედაქტორ-გამომცემელთა გრამატიკული განსწავლულობა ხშირად არღვევს (ეწინააღმდეგება) ავტორის ნებას... და, როგორც ჩანს, ავტორიც „იძულებულია“ დაჰყვეს მათ ნებას; თუმცა არაა გამორიცხული ავტორისეული ვარიანტებიც...

ამ მხრივ საინტერესოა მუხრან მაჭავარიანის ლექსის „საბა“ ხელნაწერისა და ბეჭდური ვარიანტის შედარება.

„საბას“ ხელნაწერს თარიღი უზის: „1949 წ. 23/XII. საღამო“. ბეჭდურ ვარიანტთან 60-მდე სხვაობაა პუნქტუაციაში. ძირითადად ეს არის სამი წერტილი (...), ძახილის ნიშანი, წერტილ-მძიმე, ტირე კომბინაციური ვარიანტებით (-/, -/!-); ერთი სტრიქონი „გალაკტიონისებურადაა“ წარმოდგენილი — ყველა სიტყვასთან (გარდა მსაზღვრელ-საზღვრულისა) სასვენი ნიშანი, ოღონდ მძიმის ნაცვლად სამი წერტილია გამოყენებული: „...მზე... ეთხოვება... ალბათ... ახლა... ტურფა ტანძიას...“

(ცხადია: მ. მაჭავარიანისათვის იმ დროს გალაკტიონის ის ხელნაწერი უცნობი იყო!). კომბინაციები (,-/!-) ხელნაწერში არაა; ეს ავტორის შემდეგდროინდელი შემოქმედებაა.

სრულად წარმოვადგენთ „საბას“ ხელნაწერ და ბეჭდურ ვარიანტთა შედარებას. დათქმული პირობითი ნიშნები:

(.) – მხოლოდ ხელნაწერში

[.] – მხოლოდ ნაბეჭდში

, – ორივეგან (უფრჩხილებო)

საბა

ორბელიანი(.) ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან(.)

ალოდინეს და[...] მე[თ]ხუთმეტე კაცად შევიდა[.](!)

(...)ცამეტი ლუდოვიკო კელიდან იყურება.

ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე.

ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემა, [-]

მეფეს ხალხზე მეტად კატა ეცოდება.

ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინარა[:](.)

– ოჰ[...](!) ოჰ[...](!) ოჰ[...](!) ოჰო – თქვა და თითქოს

კიდეც ინანა.

მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდარა(.)

[([)საბას ხმა როდი წააგავდა კნავილს კატისას(][.](!)

რაც შეიტანა[, -] ისევე ის გამოიტანა

იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან(.) ელჩმან

ქართლისამ.

– წვიმა არ არი! (-)

საბას კაბა დაუსველა რამ?(!)

– თოვლი არ არი! (-)

საბას თავი გაუთეთრა რამ?(!)

– ყინვა არ არი! (-)

სულხან-საბას აკანკალებს რა?!

- რამ დაასველა?(!)
- რამ დათეთრა?(!)
- რა აკანკალებს?! (-)

საქართველოა

მისთვის[:]

წვიმაც,

თოვლიც და ყინვაც!..(.)

მზე(...), ეთხოვება(...), ალბათ(...), ახლა(...), ტურფა
ტანძიას[...](.)

ეს სიცხადეა[,] სულხან-საბაე, თუ ფანტაზია?!

დედის ცრემლები

ყაყაჩოს და ბალახებს აწვიმს, (-)

ალვის ჩეროში

ტირის დედა შვილს მოტაცებულს, (-)

სტამბოლში შვილი დედას ტირის[,] - (ჰ)ყიდიან
ყმაწვილს(.)

(ჭვრეტენ ჯვარის წინ

წმინდა ნინოს(,)

მუხლზე დაცემულს).

- რამდენს აფასებ მაგ პატარას? - ჰკითხა სპარსულად
საბამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა პასუხს.

- უი[,](!) ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა! (-)

წარმოთქვა ბაღღმა, (-) ყური მოჰკრა რა საბას

სპარსულს.

- არა[,] პატარავ[,] ქართველი ვარ[,] ქართველი[,](!)

გესმის[?]?!

- უი[,](!) დედასთან წამიყვანე[,](!..), წამიყვან[,] ძია?(!)[..]

საბას ცრემლები მოეძალა[,] ატირდა კაცი, (-)

თავის ბაღღობა გაახსენდა[,](-) თავის ტანძია.

ვით ეს ყმაწვილი[, -] საქართველოც[, -] ასე მცირეა,
 საქართველოსაც, ვით ამ ყმაწვილს[,] ასე (ჰ)ყიდიან...
 (-,)საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო, -)

სასაცილოა[! -](.)

შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდა.

ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯოხიანი.

მხარდამხარ საბას

ის პაწია ბიჭი მოსდევდა[...](.)

- მოგწყინდა განა(?) უნაყოფოდ[,] ელჩო ყიალი?! [-]

გულს ნუ გაიტეხ! [-] მუხა კვლავაც შეიმოსება![!](.)

ვფიქრობთ, შთამბეჭდავი სურათია... ასე მუშაობდა პოეტი პუნქტუაციაზე...

კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი: ერთი ცნობილი ლექსის ერთ სტროფს მუხრან მაჭავარიანი რამდენჯერმე დამოწმებს - ორჯერ „ჩანაწერებში“, ერთხელ ოთხტომეულის წინასიტყვაში. ბეჭდავს ოთხტომეულშიც და სხვაგანაც. სასვენი ნიშნები განსხვავებულია:

	1	2	3	4	5
ნაკუწ-ნაკუწ-ნაკუწ-ნაკუწ კი არა	,	;	,	!	!-
გაუმარჯოს, გაუმარჯოს მთლინად	,	:	:	!-	!-
მიწიანა, /კაცინა, /ციანა	,	,-	,-	!-	,-
საქართველოს მოთმინების ფიალას	!	.	!	!	!

1 - „ჩანაწერები“, გვ. 45;

2 - „ჩანაწერები“ გვ. 53;

3 - ოთხტომეულის წინასიტყვა;

4 - ასი ლექსი;

5 - ოთხტომეული, ტ. I.

სტანდარტული პუნქტუაციის წესებს I ვარიანტი ემთხვევა; II-III - ნაწილობრივ (განსხვავება არაა არსებითი); IV-V „მუხრანული“ ვარიანტია. რატომ არის ასეთი მრავალ-

ფეროვნება? როგორც ჩანს, ეს იმაზეა დამოკიდებული, რა განწყობაზეა პოეტი, როგორ კითხულობს ერთსა და იმავე სტროფს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში... როცა ამაღლ გვიყვება (ჩანაწერებსა თუ წინასიტყვაში), პუნქტუაცია თითქმის ჩვეულებრივია; როცა ლექსად გვაწვდის, მაშინ „ხმა-საც“ გვიკარნახებს წასაკითხად; ამას ემსახურება „მუხრანული“ სასვენი ნიშნები... მე ასე ვფიქრობ... ასეა ვითომ?..

* * *

მუხრან მაჭავარიანის სტილის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ კომბინაციები: მძიმე და ტირე (, -), ძახილის ნიშანი და ტირე (! -). ეს კომბინაციები ჩვეულებრივია ტრადიციულ სისტემაში: მძიმე თუ ძახილის ნიშანი ფრაზის შინაარსზე მიანიშნებს (თხრობითი, ძახილის, ბრძანებითი...), ტირე გამიჯნავს ავტორისეულ და პერსონაჟისეულ ტექსტს. მუხრან მაჭავარიანთან ამ ფუნქციითაც გამოიყენება ეს კომბინაციები:

„მე ვარ და ჩემი ცხენიო! — უხმოდ იძახდა მხედარი“.

„ჩამოართვეს ცხენი:

— აქეთ! — უთხრეს ხელით“.

„— რაო, — ვახტანგმა, — ვინ არი?

„გმადლობთ, არ ვეწევი, მაგრამ თქვენი ხათრით, — ვიტყვი მე.“

პოეტთან ადრეულ ხელნაწერებში მხოლოდ ამ ფუნქციით გამოიყენება ეს კომბინაციები (, - / ! -). მოგვიანებით სხვა დანიშნულებას იძენს; მოგვიანებით იქცევა მუხრან მაჭავარიანის სტილის თავისებურებად.

მაგალითები:

„თუ ხარ კაცი, —

გმართებს ცოდნა, —

თვალის ხუჭვა იცი მიტომ, —

თვალი შენი

ყელაფერზე, —

ყელაფერზე, —
რომ არ ჭყიტო.“

ამ ლექსში სუთჯერაა გამოყენებული კომბინაცი (,-).
ამათგან ოთხჯერ „წესებით“ მძიმეა საჭირო, ერთხელ (ბო-
ლო შემთხვევა) ორივე ზედმეტია...

სხვა მაგალითი:

„ალარც საბაა!
ალარც, — ბესიკი!
ალარც, — ვანტანგი!
ალარც, — არჩილი!“

აქ სამჯერაა ნახმარი მძიმე და ტირე; სამივე შემთხვევა-
ში „წესებით“ მხოლოდ ტირეა საჭირო.

სხვა შემთხვევა:

„უმთაერესი,
ვატყობ,
ამჟამად, —
გამძლეობაა.“

ან: „გადასაჭრელი საკითხები, — გადაიჭრება“.

ამ შემთხვევებში (, -) ორივე ზედმეტია...

თუმცა მოდით, ასე ვთქვათ: „წესებით“ არის ზედმეტი...
პოეტისათვის? — ცხადია, არა...

ასევე საინტერესოა კომბინაცია — ძახილის ნიშანი და
ტირე (! -). არ ხდება მისი დანიშნულების გააზრება ტრადი-
ციული წესებით... მაგალითები:

„...და დაგეწერა, —
ხარ ქართულად რისი დამწერიც! —
დანტე ვინ არი! —
ჰომეროსზე იქნები მეტი!“

ანდა:

„უსიტყვოდ! —
ფიქრით! —

მხოლოდ ფიქრით:

ღარიბის ცოლმა გაინატრა ცოლობა მდიდრის“.

ერთ ლექსს მოვიყვან, რომელშიც მხოლოდ ძახილის ნიშანი და ტირია; ორგან კითხვის ნიშანი ემატება. გრაფიკული სახეც საინტერესოა (დამტკვრეული სტრიქონები, „კიბურად“ აწყობილი):

„არა და არა! –

არ უნდა შედრკე! –

ეხეტე ხევ-ხევ! –

იხოსე ტყე-ტყე!

იხოსე ტყე-ტყე! –

ეხეტე ხევ-ხევ!

დაგცეს?! –

ხელახლა წამოხტი ფეხზე! –

კვლავ დაგცეს?! –

ისევ წამოხტი ფეხზე!

და კიდევ ერთხელ! –

და არაერთხელ! –

და არაერთხელ! –

და კიდევ ერთხელ! –

და კიდევ ერთხელ! –

და კიდევ ერთხელ! –

სატანას

კვერთხი

სახეში

ხეთქე!

არა და არა!

არ უნდა შედრკე!“

ნუ შევეცდებით ტექსტის სინტაქსური ანალიზის საფუძველზე სასვენ ნიშნებს ფუნქციები მოვუნახოთ... არადა, რაღაც

კანონზომიერება აშკარაა: ძახილის ნიშანი ყველგანაა (19), კითხვის ნიშანი ორგან; 13-ჯერ ძახილის ნიშანთან ტირეა... ლექსში სხვა სასვენნი ნიშანი არაა...

და თითქოს მოულოდნელია: ისეთ ლექსში, როგორცაა „ანდუყაფარო, ლიპარიტო, დარნო მთათანო“ – სადაც ოცზე მეტი მიმართვის ფორმაა და ისეთი ამაღლებილი განწყობილება (ვერ დამადუმონ, ვერ დამძალონ, თუნდა ჩამქოლონ...“), არაა არ ერთი ძახილის ნიშანი...

არის ლექსები, რომლებშიც მხოლოდ წერტილებია გამოყენებული (ერთგან ორი):

„გიგონებ.

სიშორე გაწარსულებს.

ხეებს ვაკვირდები გაძარცულებს.

უფოთლოდ

ვიცანი

ჭადარი.

და აქ რა იციან:

ფოთლები ამისი მანდ არი.“

არის შემთხვევები, როცა ლექსში მხოლოდ მძიმეებია (ბოლოში წერტილი):

„გამისკდეს მიწა,

დამახრჩოს თოვლმა,

მივეცე შმაგი მდინარის ზვირთებს,

ლიმილის გარდა,

მე შენი მტრობა

თუ რამეს მგვრიდეს“.

სამი წერტილი:

„ცოტაც და...

ცოტაც და...

საცაა ვიკივლებ!..

მომწყინდა...

მომწყინდა...

მომწყინდა...

მომწყინდა...

მომწყინდა

ყოველდღე

ერთი და იგივე!“

ტრადიციული წესებით მიმართვის ფორმა წინადადების სხვა წევრებიდან მძიმით გამოიყოფა; მუხრან მაჭავარიანი მიმართვის ფორმას სისტემებზე წინა მხრიდად არ გამოყოფს მძიმით:

„ეგ სიცრუეა სულხან საბავ, თუ ფანტაზია?!“

„გამარჯობა ნათელო მთვარე!“

„მუხრანი არ გახსოვს შე კაი ქალო?!“

„გელით გაზაფხულო, გელით!“

„გამოსროლილო ხევსურეთით ლექსო ხალხურო,“

ასეა ხელნაწერებშიც (რომლებიც მინახავს) და ნაბეჭდშიც. არის ლოგიკაც ამ „წესში“: რამდენადაც დაკვირვებულ ვარ, ავტორისეული დეკლამაციის დროს მიმართვის ფორმა წინამავალ ფრაზასთან ერთად წარმოითქმის და პაუზა არ იგრძნობა... თუმცა გამოცემებში ზოგჯერ თავს იჩენს რედაქტორ-სტილისტთა ჩარევა: „ენგურთან, ჩემო არაგვო, ხმა აღარ ამოგულება“... მაგალითად, ხელნაწერში მძიმე არ არის მიმართვის წინ შემდეგ შემთხვევებში:

„კარტოფილს არ მიირთმევთ ქალბატონო აგრაფინა?“

„სირცხვილი არ გვაჭამო, თუ ძმა ხარ კოწია!“

ნაბეჭდში ორივეგან მძიმეა... ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ გამოცემის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ არ შელახოს ავტორის ნება...

არის შემთხვევები, მიმართვის ფორმის ორივე მხრიდან ტირელებით გამოყოფისა: „შენ – სისხლო ჩემო – სად არ და-

ღვრილო“... ვერ ვიტყვით, ეს მიმართვა სხვა მიმართულებისგან რით განსხვავდება“...

მოკლედ, გვახსოვდეს მუხრან მაჭავარიანის აზრი: „პირადად მე ლექსში სასვენ ნიშნებს ვანიჭებ, მეტი რომ არა ვთქვა, დიდ მნიშვნელობას“...

და სტრიქონების „დამტკრევა“... გვახსოვს, ზემოთ ვსაუბრობდით: მუხრან მაჭავარიანი სასვენ ნიშნების ტოლფას მნიშვნელობას ანიჭებს ლექსის გრაფიკულ სახეს. როგორ „ამტკრევს“ სტრიქონებს და რატომ „ამტკრევს“ სტრიქონებს? მოუესმინოთ:

„რატომ „ამტკრევ“ მაგალითად მე ლექსის სტრიქონებს?! რატომ ვაღაგებ სიტყვებს ხან „კიბურად“, ხან „სიმაღლეზე“, ხან „ჯვარედინად“?!

მე არ ვჯერდები მოქმედების სიტყვიერად ხატვას და ხშირად მივმართავ სიტყვების განლაგებით ხატვას მოქმედებისას“...

ახლა მაგალითები: რამდენიმე საინტერესო მაგალითი ზემოთაც მოვიყვანე: „არა და არა! –“; „გიგონებ.“; „გამისკლეს მიწა,“; „ცოტაც და...“

ორიოდე სხვა მაგალითიც:

„ნათლად განიხვნა ზეცის კარიბჭე:

ხმელეთით

ავარდა

ცად

ეკალიპტი...

ერთი

კარგი

ღლე

(ვით არაერთხელ),

ღლეს, ერთხელ კიდევ

ჩა—

მო –
ყა –
ლიბ –
და!“

ანდა:

„...წუთით მოსვლის და სამუდამოდ წასვლის შუაში, –
ვარ ახლა როგორც,–

ვიყო

უნდა,

ნუთუ,

სულ

ასე?!“

ანდა:

„მინდა და მინდა!–

მინდა და მინდა!–

მინდა და მინდა!–

ვადილო მინდა

ღმერთი, რომელმაც მე ამომზიდა

უწყლო,

უმზეო,

უძირო

ჭიდან, –

სადაც ურიცხვი ბედკრული დარჩა“.

ანდა:

„ტა,

ტა,

ტა,

ტა!

რანაირად ბრდღვინავს არაგვი!

ხო,

ხო,

ხო,

ხო! —

ხმელეთს როგორ ესეთქება ზღვა!

არა!

სხვისი მისაბადი

რა მჭირს, —

თვარა, — კი!..

სხვა

როცა მე შემომნატრის,

მე

მივბადო სხვას?!“

წარმოვადგენთ გრაფიკულ ვარიანტებს ყოველგვარი
კომენტარის გარეშე:

* * *

„გამომემშვიდობა... შევნიშნე სინანული;

მოვდივარ! —

გინახავთ თვალით სიხარული?!

ეს მე ვარ,

ეს მე ვარ,

ეს მე ვარ, მიწაო.

ეს მე ვარ,

ეს მე ვარ,

ეს მე ვარ, ცაო...“

* * *

„და

წვიმა,

წვიმა,

წვიმა,

წვიმა,

წვიმა და წვიმა —
არის მუდამდლე
ამ ხეობის ფიქრი და ნატვრა“.

* * *

„ჩამოვიდა ფესად ზეცა;
გაილუმპა შრიალეთი...
ახლა,
ნეტა,
დამსვა მე და
მომცა
კარგი
წიგნი
ერთი!“

* * *

„მას უკან, რაც გაჩნდა ხალხი —
ერთს გემუდარები მიწვივ:
თქვი!
თქვი!
თქვი!
ღირს?! —
ღირს თუ არ ღირს?! —
პასუხის გამხადე ღირსი!“

* * *

„საშველს რომ აღარ მაძლევს ზოლმე მამულზე ფიქრი,
ხანდახან
გულში
ღიმილით
ვიტყვი: —
რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს!“

* * *

„ვირბინოთ!

ვირბინოთ! —

ბალახი სველია,

ღელეო გახსოვარ?!
მიცანი, ცაო?!
შენ რაო, ნიავო !...

* * *

„მამული სისხლით გააჯერეს იმდენად მტრებმა, —

წვიმას ვერ იტანს...

დროდადრო

ცრემლი

ისევ

წვეთავს

საბას წვერიდან, —

თითქოს

თოვლივით თეთრი წვერი —

თოვლივით ღნება.“

* * *

„ამოდის

ახლა

ავტობუსი

აღმართზე

ქშენით, —

რომ არ გაგასწროს,

ფაციფუციტ ტანსაცმელს იცვამ...“

* * *

„ჯდა ვახტანგ მუფე მარტოკა, —

უხანჯლოდ და ულახტოდ.

მალიდან ნახა:

სირბილით

კიბეზე

კაცი

ახტოდა...“

* * *

„სახლში შემოჰყავთ საიდანღაც დიაცი სიძვის
და...

სივარეტი

საფერფლეზე

თავისით

იწვის.“

* * *

„ხმა ნაღურისა ყანიდან, —

მამაკაკური ყაიდა;

— ე, — ბოშო! —

ქორი! —

არიქა!

— ე, — ბიჭო! —

თოფი! —

არიქა! —

რა იქნა?! — ნეტა, — რა იქნა?! —

მორჩა?! — გათავდა?! — წარიტრა?! —

მორჩა! — გათავდა! — წარიტრა! —

გუდა-ნაბადი აიკრა!“

* * *

გვაქვს ასეთი „მარტივი“ ვარიანტებიც — ყოველგვარი
„გრიფიკის“ გარეშე.

„ვნახე ენგური რომელიც კლდეს ღრიანცელით ეხლება;
ენგურთან ჩემო არაგვო, ხმა აღარ ამოგელება.“

ასეთი გრაფიკული ვარიაციები (ანუ „დატეხილი“ სტრიქონები – ხან „კიბურად“; ხან „სიმაღლეზე“; ხან „ჯვარედინად“...) უთვალავია... მუხრან მაჭავარიანის ფანტაზია ამოუწერავია... ჩვენ ეს ვიკმაროთ...

რამდენი ვისაუბრეთ... შევძელით პოეტის რაიმე საიდუმლოს ამოხსნა? – რა მოგახსენოთ... თავისებურებებზე, ორიგინალურობაზე მინიშნებას კი შევეცადეთ... ზოგადად ასე დავასრულოთ:

ზმა, სიტყვა, წერტილი, დატეხილი სტრიქონი... – ესაა მუხრან მაჭავარიანის პოეზიის საიდუმლო... დამხმარე საშუალება პოეტური სათქმელის მკითხველამდე ზედმიწევნით ზუსტად მისატანად...

კრებული „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, XIV, 2018

ფიქრები მუხრან მაჭავარიანზე, ანუ მასალები პიობრაფიული ნარკვევისათვის*

წინათქმა

12 აპრილი მუხრან მაჭავარიანის დაბადების დღეა. ბატონმა მუხრანმა მეცხრე ათწლეულში შეაბიჯა. რვა ათეული წელი ღირსეულად იარა... რვა ათეული წლის განმავლობაში საქმიან და სიტყვით ზიდა საქართველოს ჭირ-ვარამი... ფიქრით ზიდა, ლექსით ზიდა და ჩვენც უამრავი საფიქრალი გაგვიჩინა... მუხრან მაჭავარიანის მიერ განვლილ რვა ათეულ წელზე ვფიქრობ და მომავალ წელთა სიმრავლეს ვუსურვებ ბატონ მუხრანს საქართველოს საიმედოდ!...

ფიქრი პირველი

„ქართული სიტყვის დიდი მოურავი“ (მ. მაჭავარიანის ფრაზაა) გიორგი შატბერაშვილი იტყოდა: კარგი დღე ის დღეა, რომელიც სიკეთით დაგამახსოვრებს თავსო... და, ვფიქრობ, ჩვენთვის კარგ დღეთა სათვალავში ჩაითვლება ის დღეც, რომელსაც მუხრან მაჭავარიანთან ერთად გავატარებთ, მუხრან

* 2009 წლის 17 დეკემბერს რუსთაველის თეატრში 18 საათზე გაიმართა მუხრან მაჭავარიანის საიუბილეო საღამო. 20 საათზე რესტორან „მეტეხის ჩრდილში“ – საიუბილეო საღამოსადმი მიძღვნილი ვახშამი. რამდენიმე დღით ადრე ბ-ნი მუხრანის დეალებით დამირეკა პოეტის ქალიშვილმა. ჩემმა მეგობარმა ნანა მაჭავარიანმა და ბ-ნი მუხრანის თხოვნა გადმომცა: „მეტეხის ჩრდილში“ გამართულ ვახშამზე მეთამადა. ჩემთვის ეს დიდი პატივი იყო (მით უმეტეს საქვეყნოდ ცნობილი თამადის საღამოზე!...)... საღამო იწერებოდა. მერე მირჩიეს მეგობრებმა, ეს ჩანაწერები გამოქვეყნებინა... ასე იქცა „სადღევრძელოები“ „ფიქრებად“... ეს ტექსტი გამოსაქვეყნებლად ბ-ნი მუხრანის სიცოცხლეში გადავეცი რედაქციას, მაგრამ... მერე მინაწერის ვაკეთება მომიხდა...

მაჭავარიანის ლექსთან გავატარებთ, მუხრან მაჭავარიანზე ფიქრში გავატარებთ...

ერთ მოღვაწეზე წერს მუხრან მაჭავარიანი, საქართველოთი დაავადებული კაციო და „ღმერთმა ნუმც გაჰყაროსო იგი ამ სენს, ვინაიდან ეს ის სენია, რომლისგანაც როგორც კი განიკურნები, ლეში ხარ მაშინვეო“... და თუ ვინმეზე ითქმის დღეს ეს სიტყვები, მუხრან მაჭავარიანზე ითქმის უპირველესად: საქართველოთი და ქართული ენით დაავადებული კაცია იგი...

არ არის იოლი მუხრან მაჭავარიანზე (როგორც ყველა კლასიკოსზე) საუბარი: ყველას ჩვენი მუხრანი გვყავს და მე შევეცდები „ჩემს მუხრან მაჭავარიანზე“ გესაუბროთ...

აღბათ ყველასათვის, მაგრამ ჩემი თაობისათვის მუხრანი სულ სხვაა: სამოციანი წლების ქუთაისში ამბად მოვიდა: უნივერსიტეტში (მაშინ ერთი უნივერსიტეტი იყო!) მუხრან მაჭავარიანს ისეთი ლექსები წაუკითხავსო... ხელნაწერები ჩამოიტანეს ქუთაისში და ჩუმად ვუკითხავდით ერთმანეთს: „თუ ვინმე ფიქრობს, დადუმდეს ენა, შენც არ მომიკვდე! არა და ვერა!“ და, გახსოვთ, აღბათ... „ახლა კი დროა! – სოლომონ რომა, კვლავ დაიქუხოს საქართველომა“; თუ – „გაუმარჯოს საქართველოს მოთმინების ფიალასო“... ამ ლექსებმა უამრავი კითხვა გაგვიჩინა „საბჭოთა მოწაფეებს“:

– რას ნიშნავს „დადუმდეს ენა“?

– ვის სურს ჩვენი ენის დადუმება და რატომ?

– რისი დროა ახლა?

– რა შუაშია სოლომონი?

– როდის დაიქუხა საქართველომ, კვლავ დაქუხებას რომ ითხოვს პოეტი?

– და სხვა... და სხვა...

ღვთის მაღლით, ჩემი ბავშვობის ქუთაისში იყვნენ ისეთი ადამიანები, ვისაც შეეძლო ამ კითხვებზე პასუხის გაცემა და...

ჩვენ სულ სხვანი გავხდით... ისეთები, ვინც ჩვენდათავად სამოციანი წლების ბოლოს სტუდენტურ შეკრებებზე ვბედავდით, მუხრანის ეს ლექსები გვეთქვა და „საქართველოს მომინების ფილა“ გვედღერძებდინა; კვლავ დაქუხება გვენატრა საქართველოსი... აი, ამისთვის მადლობა მუხრან მაჭავარიანს, თავისი მძლავრი პოეტური ხმით ჩვენში ის მძაფრი ნერვი რომ გამოაღვიძა, ქართული რომ ჰქვია!.. ფაქტობრივ, ეროვნული მოძრაობა ჩემთვის და მრავალი ჩემნაირისთვის სამოციანი წლებში ამ ლექსებით დაიწყო...

ზემოთ ვთქვი, „საქართველოთი დაავადებული კაცია იგი“-მეთქი; ვისურვებდი, „ეპიდემიად“ ქცეულიყოს ეს სენი და „მუხრანის ავადმყოფობა“ გადასდებოდეს სრულიად საქართველოს – ყველა ქართველსა თუ არაქართველს!..

ფიქრი მეორე

*„საქართველოთი გახარებული,
საქართველოთი გამწარებული,
საქართველოთი გულანთებული,*

საქართველოთი გულდათუთქული“ კაცია მუხრან მაჭავარიანი. არ შევცდები, თუ ვიტყვი: საქართველო, ქართველი და ქართული თავის პოეზიაში იმდენჯერ არავის უხსენებია, რამდენჯერაც მუხრან მაჭავარიანს...

ერთგან მუხრანი წერს: „აგერწინას (ეს სიტყვაც მომწონს!) საფრანგეთში ვიყავი; ვდგავარ ფრანგულ მიწაზე. ვათვალიერებ ვერსალს; მოვიხედე უკან: აგერ არ დვას ჩემი კაკლის ხე? ჩემი ორსართულიანი სახლი? ჩემი იზვარა და ჩემი ლაშურა? ჩემი მტკვარი და ჩემი არაკვი?... დვანან და შემომცქერიან; – ვამეცინა, – ფეხი მიწას დავკარი:

– დამეკარგეთ-მეთქი აქედან! – დაბრუნდით-მეთქი შინ! – ვავიგონია! ფეხიც არ მოიცვალეს, – დვანან და თვალს არ მაშორებენ! – უსიტყვოდ მეუბნებიან: სადაც შენ ხარ,

ჩვენც იქ უნდა ვიყოთო!“ და ოთხმოცი წელია, მუხრანთან ერთად მოდიან (ან: მუხრანი მოდის მათთან ერთად) არგვეთი და ყვარელი, საჩხერე და თბილისი, ჭერათხევი და დარიალი. უშა და მყინვარწვერი... ესაა მუხრან მაჭავარიანის საქართველო!... ეს ის საქართველოა, „ორი ცრემლიდან“ რომ ჭვრეტდა საბა!.. ეს ის საქართველოა, „ბედი ქართლისა და ქართლის ჭირი ისევ რომ უდგას დღის წესრიგში“... ეს ის საქართველოა, ასე რომ მოუპრავლდა „გუგულის კვერცხი“... „მე საქართველო არ მსურს ამგვარიო!“ – იტყვის მუხრანი და ვისურვოთ, გვეჩონდეს ისეთი საქართველო, მუხრანს რომ სურს, მუხრანს რომ ეკადრება!..

ფიქრი მესამე

რა არის ქართული ენა?

ილიამ ბრძანა, ღვთაებრივი საუნჯეაო: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული ენა და სარწმუნოება“...

იაკობმა ბრძანა, ქართული ენა ჩვენი ეროვნების უმთავრესი ბურჯიაო: ეროვნებას ოთხი ბურჯი აქვს – მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოებაო...

ქართული ენა ჩვენი ეროვნული მეობის საფუძველიაო, – ეს მეცნიერმა ბრძანა – არნოდდ ჩიქობავამ...

და მაინც, უფრო პოეტური, უფრო შთამბეჭდავი და ორიგინალური განმარტება, რაიც მუხრან მაჭავარიანმა ბრძანა, მე არ მეგულება:

„ქართული მარტო ენაა?!

ქართული ქართველთ რწმენაა!

ღმერთია!

ბედისწერაა!

ზღვა როა! –

იმოდენაა!“

რუსთაველი მუხრანისათვის „ქართული სიტყვის მხედართმთავარია“, გიორგი შატბერაშვილი — „ქართული სიტყვის დიდი მოურავი“... მუხრან მაჭავარიანი ამასაც იტყვის: რუსთაველი ქართველი რომ არ ყოფილიყო, „ვეფხისტყაოსანს“ ვერ დაწერდაო; ანუ: „ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ ქართულ ენაზე შეიძლებოდა დაწერილიყო... და იმიტომაც შეძლო ქართველმა კაცმა ქართულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა, რომ „დავით აღმაშენებლის ხმაღზე დამყნული კალამი შოთასი“!.. ესეც ქებაა ქართული ენისა, მორიგი ქება... და: არავის იმდენი ხოტბა არ უთქვამს ქართული ენისა, რამდენიც მუხრან მაჭავარიანს; არავინ ცდილა იმდენაირად და ისეთი კუთხით დაენახვებინა ჩვენთვის დედაენა, როგორც ეს მუხრანმა მოახერხა... მხოლოდ მას შეუძლია წარმოიდგინოს და დაინახოს, „როგორ იგერიებს პატარა ქართველი ორთავიანი არწივის კლანჭებს იაკობ გოგებაშვილის „დედაენითა“!.. მხოლოდ მას შეუძლია ჭირისუფალის თვალით დააცქერდეს „სიტყვის კონაში“ შემორჩენილ „გარდაცვლილ სიტყვებს“... დედაენის სიყვარულმა დააწერინა პოეტს შვიდი დიდებული გამოკვლევა შვიდი ქართული სიტყვის შესახებ — შესაშური პროფესიონალიზმით შესრულებული... და მეტიც — ასამდე წერილი თუ შენიშვნა, ორტომეულის მეორე ტომში რომ გამოაქვეყნა... აი, ესაა მუხრანისეური სიყვარული დედაენისა — ქართული ენისა!

„ენაშია ჩვენი ქართველობა!

ენაა ჩვენი სარწმუნოება!

ნახავთ სომეხს, არ იცის სომხური და არის სომეხი!

ნახავთ ებრაელს, არ იცის ებრაული და არის ებრაელი!

ვერ ნახავთ ქართველს, ქართული არ იცოდეს და ქართველი იყოს!“ — ასე ფიქრობს მუხრან მაჭავარიანი და ეს ქართული ენა უღდეგრძელს ღმერთმა მუხრან მაჭავარიანს!..

ფიქრი მეოთხე

ერთი სურათი მაქვს ნანახი: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და მუხრან მაჭავარიანი პირისპირ დგანან; უწმინდესი და უნეტარესი ღიმილით ესაუბრება მონუსხულ პოეტს... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ამ საუბარში უთხრა კათოლიკოს-პატრიარქმა მუხრანს: „*თქვენი გამოვლით დროს მე გამახსენდა მაცხოვრის სიტყვები. მან ასე უწოდა თავის ორ მოწაფეს: „ძენო ქუხილისანო!“ თქვენ შევშვენით ეს – ძეო ქუხილისაო!*“

და მესმის, მუხრანის ხმით როგორ ქუხს, როგორ რეკავს დუმილი „ჯვრით, ალავერდით, გელათით, ტბეთით... ზარზმით, ოპიზით, ოშკით, ხახულით“... და კხედავ, როგორ იწერს პირჯვარს ძეი ქუხილისად:

„მტრული ამოროს მზერა!

ავს არ ეხილოს თვალს!

ჯვარი სწერია გელათს!

ჯვარი სწერია ჯვარს!“

და ვნატრობ: ისმინოს ღმერთმა ლოცვად ძისა ქუხილისადსა — ჯვარი ეწეროს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ჯვარი ეწეროს ქართულ ეკლესიას!..

ფიქრი მეხუთე

ქეთევან მაღალაშვილს უთქვამს, არავინ იცის, ნიჭი ვის დაეცემა ზეციდან თავშიო... ჰოდა, უბოძა ზეცამ ეს ნიჭი მუხრან მაჭავარიანს... მაგრამ მარტო ღვთის წყალობა კლასიკოსად ვერ აქცევს კაცს: ნიჭს გარემო სჭირდება, დიდად ნიჭიერი კაცი კლასიკოსად რომ იქცეს... ჰოდა ეს გარემო უპირველესად ოჯახია... და ღმერთმა ეს გარემოც უბოძა მუხრან მაჭავარიანს — დიდი ქართული ოჯახი!.. პოეტი ასე მოიგონებს დედას: „დედაჩემი მაგარი და მართალი ქალი გახლდათ; პირდაპირი. ზედმიწევნით ობიექტური. აკაკის გარდა პოეტად არა-

ვინ მიაჩნდა. ზეპირად იცოდა არაერთი, არამცთუ ლექსი, პოე-
მაც კი აკაკისი“... ერთი შეხედვით, თითქოსდა მოულოდნელია
ის, რაც მუხრანის დისთვის უთქვამს ქალბატონ თამარს, „მე
არ მომწონს, შვილო, მუხრანის ლექსებით“... და ამას ამბობს
აკაკის ზეპირად მცოდნე ქალბატონი ამ ლექსის ავტორის შე-
სახებ: „მცნეთით. წყნეთით. თუხარისით. ჩორთით. ოთხით.
თოხარიკით – უხალისოდ თუ ხალისით მიაშურა ხალხმა
თბილისს“... ანდა: „გაეპარებოდა ხოლმე მამობილსა და დედის
საფლავზე ტიროდა საქართველო“... მაგრამ აქ მთავარი სხვაა:
შვილისადმი დედის მომთხოვნელობაა აქ მთავარი და სწორედ
ესაა ის გარემო, რომელმაც „მისცა ნიჭს გზა ფართო“... არ-
ცთუ შორეულ წარსულში დედას წიწილევივით დაუთვლიდნენ
შვილებს და სადღაც ბორჩალოში გვეყობებოდა გმირი დედა...
მუხრანის დედაა გმირი დედა...

საიდან ასეთი მოქნეული ფრაზები მუხრან მაჭავარიანი-
სა; ასეთი სხარტი, ზუსტი, ლაკონიური ენობრივი აზროვნება...
ნანა მიყვებოდა: ივანე მაჭავარიანი – მუხრანის მამა – შეუძ-
ლოდ ყოფილა; წუნდა თურმე; თამარი ამშვიდებდა: ნუ გეშინ-
ნია, ვანიჩკა, ნუ გეშინიაო... რავა ნუ მეშინია, შე ქალო, –
უთქვამს ივანეს, – ქუთეისში კი არ მივდივარო...

ჰოდა, აი, საიდან მოქნეული ფრაზები, სხარტი ენობრივი
აზროვნება, მოსწრებული სიტყვა... ესაა ის გარემო, რომელ-
მაც „მისცა ნიჭს გზა ფართო“...

დედას რომ უთქვამს, მუხრანის ლექსები არ მომწონსო,
გულში ჩარჩენია დას – დოდო მაჭავარიანს – რომელსაც ეა-
მაყება, ქვეყანას მოსწონსო ჩემი ძმის ლექსები... დის საამაყო
ძმა!.. გვიან გაუშნელია ეს „დარდი“ ძმისთვის და ეს არის
სწორედ ის გარემო, რომელსაც ოჯახი ჰქვია... ჰოდა, ნიჭთან
ერთად განგებამ მუხრანს ის გარემოც უბოძა, რომელმაც მი-
სცა „ნიჭსა გზა ფართო“, გზა – მთაწმინდისაკენ მიმავალი...

ფიქრი შექმნის

სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის პარიზული დღიურები არ შემორჩენილა; მუხრან მაჭავარიანმა „აღადგინა“ იგი: როგორ ალოდინეს საბა ლუდოვიკოსთან, როგორ გაუცრუვდა იმედები ორბელიანს: „რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ“... ითქვა, საბას ჩანაწერები რომ შემოგვრჩენოდა, არა მგონია მეტი შესძენოდა პარიზულ ამბებსო...

ალბათ იშვიათია მოღვაწე, დიდი პოეტის შემოქმედებაში ასეთი ადგილი რომ დაეჭირა... იცის მუხრან მაჭავარიანმა სიტყვის ფასი და ამიტომ აფასებს საბას განუზომლად. „ჩემს უკან, ღმერთმა ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქნასო“ – საბას ეს სიტყვები პოეტს განსაკუთრებით ჩარჩენია გულს.

ქართული ენისადმი გამორჩეული დამოკიდებულება, ქართული სიტყვისადმი ასეთი სიყვარული პოეტისა საბას მადლია უპირველესად: „განსაკუთრებით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონია ჩემი უსაყვარლესი წიგნიო“, – დაწერს ერთგან... საბას მადლია ისიც, ჭირისუფლად რომ უდგას პოეტი გარდაცვლილ სიტყვებს: „ვათვალიერებ ამ ძვირფას წიგნს და გულს მიკლავს „დაუმარხავად“ დარჩენილი „გარდაცვლილი“ სიტყვები.“ ანდა: „მივჩერებივარ და... სიტყვაც მოძჩერებია. ვუყურებ და... სიტყვაც მიყურებს“... საბას მადლია ყოველივე ეს და ღმერთმა საბა უღლეგრძელოს მუხრან მაჭავარიანს და მუხრან მაჭავარიანი უღლეგრძელოს საბას...

იმ საბას, „ორი ცრემლიდან რომ გაჰყურებს საქართველოს“... იმ საბას, „საქართველო რომ არის მისთვის წვიმაც, თოვლიც და ყინვაც“...

ღმერთმა არ აღირსა „სატანძიე საბას“ ძვალთშესალავად ქართული მიწა, მაგრამ მუხრანის წყალობით ქართული პოეზია იქცა მის საუკუნო განსასვენებლად...

ერთ ფილოსოფოსს უთქვამს ლექციაზე სამედიცინო ინსტიტუტში (ქალბატონი ანას ჩანაწერებიდან): საქართველოში ორი სვეტიცხოველია – ერთი მცხეთაში და მეორე კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაშიო; საქართველოში ორი ნიკორწმინდაა – ერთ რაჭაში და მეორე გალაკტიონის პოეზიაშიო; საქართველოში ორი საფლავია დავით აღმაშენებლისაო – ერთი გელათში და მეორე ანას პოეზიაშიო... და მე ვიტყვოდი: საბასაც ორი საფლავი აქვს – ერთი მოსკოვში, მეორე საქართველოში.. დიახ, საქართველოში არის საფლავი საბასი – მუხრანის პოეზიაში!..

არ ეღირსა ქართული მიწა, მაგრამ დაემკვიდრა ქართულ პოეზიაში... ამ „სატანძიე“ კაცის საუკუნო სამყოფად მუხრანის პოეზია იქცა და მადლობა ამისთვის მუხრანს და მადლობა ამისთვის საბას...

„კურთხეულ იყოს სახელი შენი, საბა!“ – ამბობს მუხრან მაჭავარიანი და ვამბობთ ჩვენ: კურთხეულ იყოს, სულხან-საბა ორბელიანო, სახელი შენი მადიდებლისა – მუხრანი!..

ფიქრი მეშვიდე

წერს მუხრანი: *„ერთ მშვენიერ დღეს, (კურთხეულიყოს ის წუთი) გავიხედე, – რას შევხედე:*

სიყვარული... სიყვარული არ მეძვერა!..

შორით ვკიდე თვალი; ორფერი კაბა ეცვაო“... მერე ლექსად იტყვის: „მე გული მთხოვა ერთ საღამოს იმ ქალიშვილ-მაო“ და „მე ყველაფერი შემაყვარა იმ ქალიშვილმაო“... და პროზად თქმული: „სიყვარულის მენუთე წელს, ოცდახუთი წლისამ შევირთე ქალი, – ლამარა ბოკერია“... საიუბილეო საღამოზე ბრძანა ბატონმა მუხრანმა, – ოთხმოცი წელი ცოტა არ არისო და ამ არცთუ ცოტა ოთხმოცი წლის ზიდვაში დიდია წვლილი ქალბატონი ლამარა ბოკერიასი... მართლაცდა,

ღმერთმა დალოცოს ის წუთი, სიყვარული რომ „ეძგერა“ მუხრანს, მთელი ცხოვრება რომ ღოცავს მუხრანი...

ფიქრი შერვე

„რომ არ ამელო ხელში წიგნი,
თოხი მჭეროდა,
რომ არ გამედგა ფეხი ჩემი
კაკლის ჩეროდან“... – წერს მუხრანი, –
„სოფლის სკოლაში ორი ბავშვი
ჩემიც ივლიდა,
ბიჭს ალბათ ვანო ერქმეოდა,
გოგოს – ივლიტაო“...

და აიღო ხელში წიგნი მუხრან მაჭავარიანმა, გააღვა ფეხი თავისი კაკლის ჩეროდან და შერვე უკვე ქალაქის სკოლაში წავიდა ორი ბავშვი – ბიჭს ისევ ვანო ერქვა, გოგოს – ნანა (ეს შეცვალა ხელში წიგნის აღებაში!).

და იციან ნანამ და ვანომ, რომ მუხრანის შვილობა ტვირთია უზარმაზარი, ტვირთი მძიმე და დიდად საპატიო, საამაყო... ღირსეული ტარება უნდა ამ ტვირთს და ეზიდებიან კიდევ ღირსეულად...

და მე ვიცი, როგორი ამაყი იყო მუხრან მაჭავარიანი, ნანა მუხრანის სათაყვანო უნივერსიტეტის პროფესორი რომ გახდა... მახსოვს, ნანამ პირველი დისერტაცია რომ დაიცვა, მუხრანმა მადლობა უთხრა საჯაროდ, რომ დამიჯერე და ენის სპეციალისტი გახდიო და, რაც მთავარია, პატარა ერის ენის მცოდნეო (ნანა აფხაზურის სპეციალისტია, დიდი ქეთევან ლომთათიძის ღირსეული მოწაფე)...

„ეს კი, მე მგონი,
თუ შენც იტყვი,
ცოტას არ ნიშნავს!“

ფიქრი მეცხრე

როცა მუხრან მაჭავარიანის ჩანაწერებს ვკითხულობ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება. თითქოს იგი ცხოვრებას ორ ნაწილად ყოფს – უნივერსიტეტამდე და უნივერსიტეტის შემდეგ.

„ამ დროს უნივერსიტეტიდან გამორიცხული ვიყავი“... – წერს ერთვან.

„ასე იყო თუ ისე, მე უნივერსიტეტში აღმადგინეს“...

„პირველად, მხოლოდ 1952 წელს უნივერსიტეტის ლიტ.-წრის აღმანახ „პირველ სხივში“ დაიბეჭდა ჩემი სამი ლექსი“...

„1964 წელს უნივერსიტეტში გამართულ პოეზიის საღამოზე...“

„უნივერსიტეტში, 1964 წელს ჩემი გამოსვლის შემდეგ...“ და ყოველივე ეს წერია სულ რამდენიმე გვერდზე...

ახსოვს უნივერსიტეტს საომრად შემართული მარჯვენა პოეტისა და განუმეორებელი, ომანიაანი შემახილი...

ახსოვს უნივერსიტეტს ხელში აყვანილი მუხრან მაჭავარიანი...

ახსოვს უნივერსიტეტს ახალგაზრდობის წლებისა თუ ადრე წასული მეგობრების გასასხენებლად შეკრებილი ჭარმაგი სამეგობრო მუხრანისა...

მაშინ უნივერსიტეტი ერთი იყო... ივანე ჯავახიშვილი რომ ქუდს უხდიდა, ის უნივერსიტეტი...

უნივერსიტეტი ახლაც ერთია (ოღონდ შეჭირვებული) და ასე ერთი იქნება მუხრანისათვის, ჩვენთვისაც...

ის უნივერსიტეტი, მუხრანმა და ანამ თავიანთი ცხოვრების ნაწილად რომ მიიჩნიეს და არა მხოლოდ მათ...

საქართველოს ისტორიაში არის რამდენიმე ძეგლი, ეპოქასთან რომ გაიგივდება:

XI საუკუნე და სვეტიცხოველი...

XII საუკუნე და გელათი... და ასეა ესეც:

XX საუკუნე და ქართული უნივერსიტეტი..
და თუნდაც იმიტომ, რომ მუხრანის უნივერსიტეტია...

ფიქრი მეათე

მუხრან მაჭავარიანი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აირჩიეს – მუხრან მაჭავარიანი პოეტი-აკადემიკოსი გახდა... დღეს იგი ერთადერთი პოეტი-აკადემიკოსია... არადა აკადემიკოსები იყვნენ გალაკტიონი და გიორგი ლეონიძე... და ბოლოს – ანა... ეს არ ყოფილა დროის მიერ მოტანილი დიდება. მუხრანი თავისი პოეზიით, თავისი მოღვაწეობით იმსახურებდა ამას... და ეს ალბათ აკადემიას უნდა მიუვლოცოთ უპირველესად; მე მახსენდება ერთი ადგილი სერგი ღურმიშიძის მოგონებებიდან: მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრებმა გალაკტიონთან ერთად სურათი გადავიღეთო; ნიკო მუსხელიშვილმა გვითხრა, ეს სურათი კარგად შეინახეთ, ისტორიაში ამ სურათით დავრჩებით და არა ჩვენი შრომებითო...

და დარჩნენ ისტორიაში იმ სურათითაც... და დარჩებიან ისტორიაში აკადემიკოსები მუხრანის გვერდით ღგომითაც...

ჰოდა, მინდა აკადემიას მივულოცო მუხრან მაჭავარიანის აკადემიკოსობა და მუხრან მაჭავარიანსაც!..

ფიქრი მეთერთმეტე

მე მახსენდება ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი თბილისი. იმართებოდა პოეზიის საღამოები; უწყობდნენ შეხვედრებს მურმანს, მუხრანსა და ანას. დიახ, ასე, სახელებით აცხადებდნენ: მურმანი, მუხრანი, ანა!.. და იყო უზარმაზარი პატივისცემა ერთმანეთისა... (ვიძეორებ: დიდება წლებს არ მოუტანია – დიდებით შემოვიდნენ ისინი ქართულ პოეზიაში და სახელებით დამკვიდრდნენ იმთავითვე!)...

ძნელია წარმოდგენაც კი იმისა, უფრო მაღალი შეფასება მისცეს პოეტმა პოეტს, ანაზე რომ საუბრობს მუხრანი („წყა-

ვის ფოთოლი)“ – „მშობლიური ენის სულზე მორგებული ანა კლანდაძის ხმა, რაც ყოველ დროში და ყოველ ქვეყანაში იყო და არის ლექსის უკვდავების საწინდარიო“... ანდა მურმანზე მისი აზრი („მურმანის გამო“) – „ღირს სიცოცხლე მურმანის გამოო“...

ასე ფიქრობდა მუხრან მაჭავარიანი გიორგი შატბერაშვილსა თუ გივი ძნელაძეზე. ქიცა ხერხეულიძესა თუ ჯურხა ნადირაძეზე. იორამ ქემერტელიძესა თუ შოთა ნიშნიანიძეზე... ზოგადი აზრია მუხრანისა: ღირს სიცოცხლე მეგობრის გამოო... და ტკივილიც მეტი ახლავს მეგობრის წასვლას ამ ქვეყნიდან. ამოიგმინებს ერთგან: „რა ღმერთი გვიწყრება?! გურამ რჩეულიშვილი, ნოდარ ჩხეიძე, შოთა ჩანტლაძე, ოთარ რაზმაძე... ახლა ფილიპე ბერიძე... სად გაგონილა ასე ზედიზედ ამდენი ნიჭიერი კაცის სიკვდილი!“ და გააყოლა ცრემლი თავის „დაუძინებელ მეგობრებს“, „თხემით ტერფამდე ქართველებს“... და იმედად დარჩა „მშობლიური ენის სულზე მორგებული“ მათი ხმა... და სჯერა, რომ მათი სახელები უკვდავოფენ საქართველოს; მათი სულები იხსნიან საქართველოს... „ხალხი და... მერე რა ხალხი!“

და როცა მუხრან მაჭავარიანს ვუსმენ, როცა მის ლექსებს ვკითხულობ, ისეთი შეგრძნება მაქვს, ამ ქართველებს იხმობს პოეტი დღევანდელი საქართველოს საშველად კონსტანტინე გამსახურდიას სარდლობით:

„სისხლისგან იწრიტება და გულზე ცეცხლი უკიდია სამშობლოს ჩემსას!

რა ვაძლებინებს მიწაში, ბატონო კონსტანტინე?!

ამოანვრიე საფლავი!

ამოიყოლე შენებრ გულდათუთქული ქართველნი (უზვად რომ არიან მანდ)!

ისევ შენ და ისინი თუ უშველით ამ ჩვენს იავარქმნილ ქვეყანას!..“

ილიამ თქვა დავით აღმაშენებელზე, არა მარტო მისი საქმეების გახსენება, მისი სახელის ხსენებაც კი გვწვრთნისო ჩვენ და ამიტომაც უხმობს მუხრანი ნათელ სულებს თავისი სამეგობროდან, ზეციური საქართველოდან: დიახ, მეგობართა სულებს მოიშველიებს ჩვენი სულების გასაწვრთნელად!

ღმერთო, ისმინე მუხრან მაჭავარიანისა!..

ფიქრი მეთორმეტე

„საჩხერეს მიაშურებენ
პარასკევს ჩვენებურები.
ცხამიდან მოდის ურემი,
ჩონთოდან მოდის ურემი,
იტაეაზიდან მოდიან,
ბახიოთიდან მოდიან...

— იმე...

— კი, მარა...

— შე, კაცო...

— ქე მაინც...

და...

— რა მცოდნია!

ისმენენ ჩემი ყურები.

მოჭრიალებენ ურმები;

გოჭებით,

ინდაურებით —

მოდიან ჩვენებურები.“ — ასე იმერეთს დავით კლდიაშვილი ხედავდა და აცოცხლებდა თავის მოთხრობებში; დავით კაკაბაძე ხედავდა და აცოცხლებდა თავის ნახატებში... და მუხრან მაჭავარიანი აცოცხლებს იმერეთს თავის პოეზიაში ასე... საჩხერე სხვაა მუხრანისათვის; არგვეთი და სხვიტორი... ლაშურა და იზვარა... „იმერეთი, მსგავსი ნაჭრის საბნისა!“

ერთგან თქვა, არგვეთი და არა არგვეთაო... რა აქვს არგვეთას დასაწუნი, მაგრამ მისი სოფელი არგვეთია; აქ იგრძნო პირველად ქართული მიწის მადლი, აქ იგრძნო პირველად ქართული სიტყვის სიტკბო, აქედან დაინახა და აღიქვა საქართველო პირველად... და ეამაყება აკაკის საჩხერეს მუხრანის მშობლობაც...

თუმცა, მოდით, აქ აკაკის ნათქვამი მოვისმინოთ, ილიაზე რომ თქვა:

„ერთ ვლუხკაცს ევონა, მზე თავის სოფლის გორაკიდან ამოდიოდა და წავიდა მის დასაჭერად. მაგრამ დაინახა, რომ მზე მეორე გორიდან ამოდიოდა. გადავიდა, მაგრამ მზემ მესამე გორაკიდან ამოჰყო თავი. იქაც აბობლდა და კიდევ შესცდა. ბოლოს ერთ განდევილს შეხვდა, რომელსაც შესჩივლა. განდევილმა უპასუხა: მზეს ვერავინ დაიჭერს, იგი ყველგან და ყველაფერს ანათებსო. ასე დიდებულია ილიას სახელიც. მისი სამშობლოს – ყვარელის გარდა ყველგანაა და ყველასთვის ანათებსო“... ჰოდა, დიდებულია მუხრანის სახელი; ის მისი საჩხერის გარდა, ყველგანაა და ყველასთვისაა... მაგრამ მაინც სხვაა საჩხერე მუხრანისათვის და საჩხერისათვის მუხრანი... უღლეგრძელოს!..

ფიქრი მეცამეტე

ერთი წლისა ყოფილა მუხრანი, როცა თბილისში გადმოსულან საცხოვრებლად („თბილისში, არაგვის ქუჩაზე“)... და მერე – „ყოველ წელს, საზაფხულო არდადეგების დამდევს, არგვეთიდან ჩემს წასაყვანად ჩამოდიოდა ზაფხული და მე სევდანარევი ნეტარებით ვტოვებდი თბილისსო“, – გაიხსენებს მოგვიანებით პოეტი... გაიხსენებს და დაამატებს: „ყოველ წელიწადს, ახლაც, როგორც უწინ, არგვეთიდან ჩამოდის ზაფხული და მე მთელი ჩემი ჯალაბით (ცოლით, შვილით, სი-

ძით, შვილიშვილებით, სიძისსიძით, შვილთაშვილებით) მივყავარ არგვეთში“... და ხარობს არგვეთი და ლაშურა...

და მერე ისევ თბილისი... და ხარობს თბილისი, რადგან

„თბილისის ფართო ქუჩებში დადის“:

მუხრანი,

ლამარა,

ნანა,

ვანო,

ლერი,

ანა,

სოფო,

მუხრანი,

რატი,

გიორგი,

დავითი,

თამარი,

ლევანი და...

„იარონ!

იარონ!

იარონ!

ამინ!“

18 დეკემბერი, 2009 წელი.

მინაწერი ხუთი თვის შემდეგ:

2010 წლის 17 მაისს ბატონი მუხრანი განემორა ამ ცოდვილ სააქაოს... და წავიდა ისე, როგორც ეკადრებოდა მუხრან მაჭავარიანს:

იცოდა ფასი მეგობრობისა და მეგობრის იუბილეზე სიტყვას რომ ამბობდა, მაშინ...

ეთაყვანებოდა დიდ წინაპრებს და აკაკიზე, ვაჟაზე, გალაკტიონზე, ტიცციანზე რომ საუბრობდა, მაშინ...

ხელოვნების მუსლჩაუსრელი მსახური იყო და რუსთაველის თეატრის სცენაზე რომ იდგა, მაშინ...

მთელი ცხოვრება მკითხველის სიყვარული და პატივისცემა არ მოჰკლებია და უზარმაზარი დარბაზი სულგანაბული რომ უსმენდა, მაშინ...

და, რაც მთავარია, საქართველოზე რომ საუბრობდა, მაშინ!..

მის მიერ წარმოთქმული ბოლო წინადადება ეს იყო: „არადა, არამცთუ სხვაგან, ამჟამად, თვით საქართველოში, სამწუხაროდ. არიან ქართველები, რომლებსაც მაინცადამაინც დიდად არაფრად მიაჩნიათ შენი ქართველობა!“

ველარ მოასწრო მომდევნო წინადადების თქმა: „მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ღმერთი თავისას მიუზღავს ყველას, და დღეს არა, – ხვალე, ამ, ე. წ. ქართველთაგან, არც ერთ მათგანს არ ასცდება ბედი აკაკი წერეთლის ნათავარი ღამურასი!“

გარდაიცვალა ისე, როგორც ეკადრებოდა მუხრან მაჭავარიანს!

2010 წლის 18 მაისი.

ჟურნალი „ქართული მწერლობა“, 6, 2010

მუსამძიმრებ ქართულ ენას!..

ქართულ ენას მუხრან მაჭავარიანი გარდაეცვალა... სწორედ ამიტომ, უპირველესად მას მინდა ვუთხრა სამძიმარი!.. დიახ, ქართულ ენას გარდაეცვალა უპირველესი ჭირისუფალი, უპირველესი ქომაგი, უპირველესი მეხოტბე, შემფასებელი და ღამფასებელი...

ეს მან, ბატონმა მუხრანმა შეგვაგონა და ანდერძად დაგვიგლო:

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა!—
იმოდენაა!“

ეს მან, ბატონმა მუხრანმა შეგვახსენა, რომ არ ხარ ქართველი, თუ „ვერ ახერხებ ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს“; რომ

„ყოველმა ქართველმა, უწინარეს ყოვლისა, დედაენა უნდა იცოდეს!“

ენაშია ჩვენი ქართველობა!

ენა ჩვენი სარწმუნოება!

ნახავთ სომეხს, არ იცის სომხური და არის სომეხი!

ნახავთ ებრაელს, არ იცის ებრაული და არის ებრაელი!

ვერ ნახავთ ქართველს, ქართული არ იცოდეს და ქართველი იყოს!“

სამძიმარი მინდა ვუთხრა ქართულ სიტყვას, მისი უერთგულესი პატრონისა და მზრუნველის, ჭირისუფლისა და მსა-

ხურის გარდაცვალების გამო. ეს მხოლოდ მას, ბატონ მუხრანს, შეეძლო გულით ევლოვა საბას ლექსიკონში შემორჩენილი „გარდაცვლილი“ სიტყვები:

„მივწერებევარ და... სიტყვაც მომწერებია.

ვუყურებ და... სიტყვაც მიყურებს.

მიყურებს. როგორც სურათი, – ოდესღაც ცოცხალი კაცისა...“

და „ქართული სიტყვის პაპის“ – სულხან-საბა ორბელიანის – ნათელ სულს მინდა მივეუსამძიმრო ბატონი მუხრანის გარდაცვალება, პოეტისა, რომლის პოეზიაშიც ჰპოვა ქართულ მიწას მონატრულმა „სატანძიე საბამ“ საუკუნო სავანე...

ქართულ ენას ვუსამძიმრებ მუხრან მაჭავარიანის გარდაცვალებას!..

18. V. 2010

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
№93, 2010

პასუხგაუცემელი შიკითხვები

2009 წლის 12 აპრილს მუხრან მაჭავარიანს 80 წელი შეუსრულდა. ერთ-ერთი ჟურნალისათვის ბატონ მუხრანთან ინტერვიუს აღება გადავწყვიტე. შევადგინე კითხვები. ნანას ვთხოვე, გადაეცა და ეშუამდგომლა, პასუხები გაეცა (ვიცოდი, რომ ბატონ მუხრანს ინტერვიუები არ უყვარდა). ნანამ მითხრა, თავს იკავებს, მაგრამ დავითანხმებთო... ამასობაში 2010 წლის 17 მაისიც დადგა... კითხვები მაინც შევინახე... მიმაჩნდა, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მუხრან მაჭავარიანს შეეძლო მხოლოდ... იქნებ ვცდები, მაგრამ მე ასე ვხედავდი ბატონ მუხრანს... ეს კითხვებიც ჩემგან დანახულ მუხრან მაჭავარიანს დაგვანახებს... ის 17 მაისი უბედურება იმითაც იყო, რომ ეს კითხვები პასუხგაუცემელი დარჩა... არადა, რა საინტერესო იქნებოდა ამ კითხვებზე ბატონი მუხრანის პასუხები... ვბეჭდავ თუნდაც ამისათვის...

* * *

– ბატონო მუხრან, ქართველ პოეტთაგან ყველაზე მეტი ქება დედაენისა თქვენ გითქვამთ. თაობები აღიზარდა თქვენგული შეგონებით – „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა“ ... თქვენ გეკუთვნით ქრთული ენის ისეთი პოეტური განმარტება, რომლის მსგავსიც მე არ ვიცი:

„ქართული მარტო ენაა?

ქართული ქართველთ რწმენაა!

ღმერთია!

ბედისწერაა!

ზღვა როა –

იმოდენაა!“

პროზაულად ხომ არაფერს დაამატებდით, მაინც რა არის თქვენთვის ქართული ენა?

* * *

— თქვენ ბრძანებით, რუსთაველი ქართული სიტყვის მხედართმთავარი. საბედნიეროდ დედაენისა, სარდლებიც მრავლად ედგნენ გვერდით მხედართმთავარს. ხომ არ განიცდის დღეს ქართული ენა სიტყვის სარდალთა სიმცირეს? ვპატონობთ კი ისე უმთავრეს ბურჯს ეროვნებისას, როგორი ტრადიციაც შეგვიქმნეს „მხედართმთავრებმა“, „სარდლებმა“? ამ კითხვის დასმა თქვენმავე აზრმა მიკარნახა: „დღეს ენამზეობა ისეა საჭირო, როგორც არასდროს“...

* * *

— ამბობენ, ვაჟა-ფშაველას როცა სთხოვდნენ, ლექსი წაგვიკითხეო, ხშირად ბაჩანას ლექსს („მუხას“) კითხულობდაო. თქვენ თუ გაქვთ ასე გამორჩეული სხვა პოეტის ლექსი, რომელსაც სიამოვნებით წაიკითხავთ ხოლმე?

* * *

— ცნობილი ფაქტია: აკაკი წერეთელს თავისი ნაწარმოებების წაკითხვა მოუსურვებია. „გამზრდელი“ რომ წაუკითხეს, თვალზე ცრემლი მოსვლია და უთქვამს, ეს მართლა კარგად დამიწერიაო... თუ გაგჩენიათ მსგავსი გაცნა თქვენი რომელიმე ლექსის მიმართ?

* * *

— ფაქტია, რომ ლექსი და სიმღერა განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. შეიმჩნევა ასეთი კანონზომიერება: ქართულ სინამდვილეში იქ, სადაც მაღალია პოეტური კულტურა, შედარებით დაბალია მუსიკალური კულტურა და პირიქით. მაგალითად, ფშავ-ხევსურული პოეზია უმაღლესი ხელოვნებაა, ამ კუთხის მუსიკალური კულტურა გაცილებით დაბალია; სამაგიეროდ, გურიაში უმაღლესი მუსიკალური

კულტურაა, ხალხური პოეზია კი მასთან შედარებით — უფერული... თქვენ როგორ ახსნიდით ამ ფაქტს?

* * *

— ჩემი მოწაფეობის უამს, 60-იანი წლების ქუთაისში ხელნაწერებად ვრცელდებოდა თქვენი ლექსები „თუ ვინმე ფიქრობს გავკვიდრეთ ენა“ და „გაუმარჯოს საქართველოს მოთმინების ფიალას“. მოგვიანებით, როცა ეს ლექსები გამოქვეყნდა, „ალმოვაჩინე“, რომ ზეპირ ვარიანტებს საკმაო ცვლილება განუცდია (მე ისევ ჩემი სიყმაწვილისდროინდელი ვარიანტები მახსოვს). რას გრძნობს პოეტი, როცა ისმენს ზეპირად გავრცელებული მისი ლექსების სახეშეცვლილ ვარიანტებს?

* * *

— ბატონო მუხრან, ერთხელ ქალბატონ ანა კალანდაძეს ვკითხე, როგორ გესმით მწერლის ენობრივი თავისუფლება-მეთქი; ერთ ფრაგმენტს მოვიყვან პასუხიდან. „*არა მგონია, ბილწსიტყვაობა, რომელიც ასე თავმოწონებით იკიდებს ფეხს ჩვენს მწერლობაში, „მწერლის ენობრივი თავისუფლების“ მაჩვენებელი იყოს! მას... ნარკომანიაზე ნაკლები ზიანი არ მოაქვს ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ქვეყნისათვის! დიდი ილიას ნათქვამს (სხვა ვითარების გამო) გავიხსენებ: „მის მაყურებელ ერს ხომ გული უტყდება თავის-თავზე, სასოება და იმედი ეკარგება და აქედამ განა დიდი მანძილია განადგურებამდე“? რა კომენტარს გააკეთებდით?*

* * *

— ქვეყანაში რთული ვითარებაა; ისევ დგას დღის წესრიგში „ბედი ქართლისა“ და „ქართლის ჭირი“... რას ეტყვიტ საიმედოს თქვენს ერთგულ მკითხველს?

* * *

— კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „ჩვენი კრიტიკა უგულვებელყოფს ხშირად არა მარტო სტილისტურსა და

ენობრივ მომენტებს მწერლის შემოქმედებისას, იგი თვით იმის განსჯაში არ შედის, თუ რამდენად არღვევს ესა თუ ის მწერალი ქართული ენის ელემენტარულ ნორმებს და სწორ წერას". თვლით თუ არა, რომ კლასიკოსის პრეტენზია სწორია?

* * *

— ჩვენ ერთმანეთის პირში ქება გვიჭირს. ზოგჯერ გულითაც რომ გვინდა ვინმე შევაქოთ, მოვუწონოთ სიტყვა თუ საქმე, ვერ ვახერხებთ ღირსეულად. ღვინით სავსე სასმისს რომ ავწევთ, სათქმელი თითქოს თავისით მოდის... ჭიქით ხელში ნათქვამი ქების ბრწყინვალე მაგალითებია აკაკი წერეთლის რამდენიმე სიტყვა, სუფრასთან თქმული; თუნდაც თელავში წარმოთქმული ილიას სადიდებელი სიტყვა რად ღირს!... თქვენ, ქართული სიტყვისა და ქართული სუფრის დილოსტატი, როგორ ახსნით ამ ფენომენს?

* * *

— კახეთში ერთ საინტერესო ამბავს მომიყვანენ: XIX საუკუნის დასასრულს თელავში ყოფილა ერთი კაცი, რომელსაც, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „სათამალო კურსები“ ჰქონია გახსნილი; მშობლების გაწყობილ სახელდახელო სუფრაზე ხელადით ღვინოს დაიდგამდა, პატარა ჭიქებს ჩამოარიგებდა და ყმაწვილებს ასწავლიდა თამალობას ლხინისა თუ ჭირის სუფრის შესაბამისს... ცნობილი გამოთქმაც გავიხსენოთ, ქართული სუფრა აკადემია არისო... ამ ბოლო ათწლეულებში რამდენიმე პოლემიკაც გაიმართა ქართული სუფრის თაობაზე (უსიამოვნოც, არაჯანსაღიც)... თქვენ ცნობილი თამადა ბრძანდებით. რა არის თქვენთვის ქართული სუფრა?

* * *

— ერთ-ერთ სუფრაზე ქართული მწერლობის სადღეგრძელო ვთქვი. ცნობილი გეოლოგი ივერი წულუკიძე შემეხმინა, მკითხველის სადღეგრძელოც თქვი, ორიოდღა შემოვრჩი-

თო... არის ამ ხუმრობაში დასანანი ჭეშმარიტება: წიგნი კარგავს მკითხველს... რას გვიქადის ყოველივე ეს? საით მიდის საქმე?

* * *

– დიდი იაკობის „დედაენის“ ქება ბევრი წამიკითხავს, მაგრამ განსაკუთრებით ჩამრჩა გულში თქვენეული შეფასება: „მესმის და ვხედავ, – როგორ ივერიებს პატარა ქართველი ორთავიანი არწივის კლანჭებს იაკობ გოგებაშვილის „დედაენით“... ეს სიტყვები თითქმის სამი ათეული წლის წინათ ითქვა... დღეს რა „გესმით და რას ხედავთ“, ბატონო მუხრან? ისევ ხმლობს „დედაენა“, თუ აღარაა საჭირო ბრძოლა?

* * *

– ერთი თქვენი ძველი ინტერვიუდან მახსოვს: ლიტერატურა კი არ უნდა დავიდეს საშუალო მკითხველის დონეზე, საშუალო მკითხველის დონე უნდა ავიყვანოს ჭეშმარიტი ლიტერატურის სიმაღლეზე (პერიფრაზისათვის ბოდიში). ეს პრობლემა ისევ დგას თუ მოიხსნა?

დაწართი

წინასიტყვა*

(სერიისათვის – „ენა და მწერალი“)

„ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰკავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება,“ – წერს მიხეილ ჯავახიშვილი. – ეს არის ალბათ ყველაზე ზუსტი პასუხი კითხვაზე: რა არის ენა მწერლისათვის?

მრავალი აზრის მოშველიება შეგვიძლია ამ კითხვის პასუხად... ვაჟა-ფშაველას მოვუსმინოთ:

„ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვსთქვათ, – მწერლის სულია; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები თუ ერთი-ორი რამ წავიკითხავთ წინად, შემდეგ ხელმოუწერელიც რომ შევხვდეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის.“ ენაში „უხილავად ჩაქსოვილია მთელი მისი (მწერლის – ვ. ვ.) სულიერი სიცოცხლე, ავლადიდება.“

სხვაც შეიძლებოდა... წინასიტყვისთვის ეს ვიკმაროთ... სხვა ცალკეულ მწერალთა შესახებ როცა ვისაუბრებთ, მაშინ ვთქვათ...

ღიას, ამ სერიაში ვაპირებთ ქართველ კლასიკოს მწერალთა შესახებ ვისაუბროთ...

ანუ: რას აძლევს ენა მწერალს და რას აძლევს მწერალი ენას?... რაში გამოიხატება მწერლის ენობრივი თავისებურება?... და სხვა...

* წიგნიდან: „ენა და მწერალი – „შვენებით სახე ქართული“ (ფიქრები დავით კლდიაშვილზე)“, 2019.

ვისაუბრებთ ენობრივ საკითხებზე; თუმცა არა მხოლოდ ენობ-
რივზე... შევეცდებით მწერლის ჩვენეული პორტრეტიც შევქნათ... სერი-
ის სათაურიც – ენა და მწერალი – ამითაც გვგონია გამართლებული...

ვიწყებთ დავით კლდიაშვილით...

დიდი დავით კლდიაშვილით...

მერე მუხრან მაჭავარიანი...

ანა კალანდაძე...

და სხვა.

შინაარსი

მუხრან მაჭავარიანი და ქართული ენა.....	3
ხმა, სიტყვა, წერტილი, დატეხილი სტრიქონი.....	16
ფიქრები მუხრან მაჭავარიანზე, ანუ მასალები ბიოგრაფიული ნარკვევისათვის.....	44
ვუსამძიძრებ ქართულ ენას!.....	61
პასუხგაუცემელი შეკითხვები.....	63
დანართი	
წინასიტყვა (სერიისათვის – „ენა და მწერალი“)	69

ბ. 7.
ქობი იყო? კოეფიციენტი ექვივალენტის
ანუ ექვივალენტის მაჩვენებელი და ეს
იქნება იქნება ექვივალენტის მაჩვენებელი.
საინტერესო!

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: 995(32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge

ქართული სალიტერატურო ენა (ნარკვევები),
თსუ გამომცემლობა, 2013, 316.

ქართული – ხმათა ხავერდების და ლმერთების ენა,
„მერიდიანი“, თბ., 2013, 108.

სიბრძნე იაკობისა, თსუ გამომცემლობა, 2015, 406.

საცნობლად თავისადაო, „მერიდიანი“, თბ., 2015, 284.

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II,
დიალექტები, „პოლიგრაფი“, თბ., 2016, 918. (თანაავტორი,
პროექტის ხელმძღვანელი, რედაქტორი)

ახალი ქართული ენა (თანაავტორი, პროექტის ხელმძღვანელი,
რედაქტორი):

ტ. I. სალიტერატურო ენის მორფოლოგია (ზოგადი, სახელი),
თსუ გამომცემლობა, 2016, 404.

ტ. II. სალიტერატურო ენის მორფოლოგია (ზმნა), თსუ
გამომცემლობა, 2016, 502.

ტ. III. დიალექტების მორფოლოგია (კრებსითი ანალიზი),
თსუ გამომცემლობა, 2017, 480.

ტ. IV. დიალექტების მორფოლოგია (პარადიგმები), თსუ
გამომცემლობა, 2017, 512.

„დედაენა“ - კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლი,
„დედაენა“, თბ., 2018, 80.

„შეენებით სავსე ქართული“ (ფიქრები დავით კლდიაშვილზე),
თსუ გამომცემლობა, 2019, 80.

